










გამოყენებული დოკუმენტების ნუსხა:

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი (საარქივო N 481)

1. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 2
2. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 33
3. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 354
4. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 398
5. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 471
6. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 580
7. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 635
8. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 702
9. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 746
10. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 750
11. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 863
12. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 908
13. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1023
14. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1070
15. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1465
16. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1588
17. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1718
18. სცა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე 1790

Saba Saluashvili

Julia Benidze

***Society for spreading literacy among Georgians in Ajaria
The materials of establishment of Georgian school and department
(According to documents in historical central archive of
Georgia)***

1879 year is a significant date in history of XIX century of Georgia, as it is related to establishment of Society for spreading literacy among Georgians, the main goal of which was

accessibility to education, arousing of national self awareness in nation and neutralizing of active assimilation policy carried out by Russian empire in Georgia that was a part of Russian empire (and for Georgians residing out of it) .

As you know, after the last war of Russia-Ottoman Turkey in 1877-1878 years, region of Batumi with other territories became a part of Russian empire. Society for spreading literacy among Georgians and Georgian public figures knew well if how important it was to arouse national self awareness in a region that was separated during 300 years, active activity started here for the purpose of spreading of Georgian language and education in newly-incorporated region. Public figures, who worked in Ajaria, knew well if how difficult it should be to gradually revive awareness, that was “lost“ during three centuries and how important and necessary it was to carry out safe and analyzed policy in language and religion different environment.

Fund of Society for spreading literacy among Georgians in kept in historical central archive of National Archive of Georgia (Archival N481). According to documentary material, school was founded in 1881 year in Batumi, and local department –in 1909 year. Archival materials clearly represent this active educational activity of local department and Georgian public figures that was made in this region before liquidation of this department.

ტრადიციების კვალდაკვალ

XXI საუკუნის მსოფლიოს წინაშე მრავალი პრობლემა დგას. საერთო გლობალიზაციას მოყვება ეროვნული ტრადიციების გაქრობის ქვეცნობიერი საფრთხე. საქართველოც, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყანა, ჩართულია მსოფლიოს წინაშე დამდგარი ახალი მოთხოვნილებებისა და ცვლილებების წინაშე. რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა გამოვეყნოთ მსოფლიო განვითარებას, მაგრამ არც ჩვენი ფესვები უნდა დავივიწყოთ.

ქვეყნის ისტორია, წარსული, რწმენა-წარმოდგენები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები – ერთადაა თავმოყრილი ქართულ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში. მათი გაცნობითა და შესწავლით უფრო ცხადად შევიგრძნობთ სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტიზმს; შევლძებთ ფაქტებისა და მოვლენების სწორად გაანალიზებას; რადგან წარსულის გარეშე მომავალი არ არსებობს.

2013 წლიდან ვმუშაობ აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ფოლკლორისტიკის (როგორც მეცნიერული დარგის) შემსწავლელი წრის ხელმძღვანელად და ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების კოორდინატორად; რამაც მომცა საშუალება აქტიურად მემოგზაურა და ჩემს მოსწავლეებთან ერთად და მომეწყო მრავალი სასწავლო-შემეცნებითი, საკვლევადიებო ექსპედიცია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ.

ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ისტორიული აჭარის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებამ, წეს-ჩვეულებებმა, ტრადიციებმა. უპირველესად შევისწავლე აჭარის მაღალმთიანეთი, საველე მუშაობისას შევაგროვე მასალები; ვესწრებოდი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ფესტივალებს; მოგვიანებით კი თავად ჩავუდექი სათავეში ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული საღამოების ორგანიზებასა და ჩატარებას.

საკვლევადიებო ექსპედიციის ფარგლებში ორჯერ ვიმოგზაურე თურქეთის რესპუბლიკაში (ართვინისა და ინეგოლის მიმდებარე ქართული სოფლები) და გავეცანი მუჰაჯირი

ქართველების ყოფა-ცხოვრებას.

ჩემი მიზანი იყო, გავცნობოდი მათ დღევანდელ ყოფას, წეს-ჩვეულებებს, რათა გამეკეთებინა პარალელები ჩვენი ქვეყნის ფარგლებში და ფარგელს გარეთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა, კერძოდ ისტორიული აჭარის მცხოვრებთა შესახებ.

თურქეთის რესპუბლიკაში ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ, საცხოვრებელი ადგილები გაშენებული აქვთ მდინარის პირას შეფერდებულ მთებში; დასახლების ტიპებს შორის განსხვავება თითქმის არაა, თითქოს საქართველოს რომელიმე სოფელში იმყოფებოდე.



საცხოვრებელი სახლები, ძირითადად, ორსართულიანი ქვის კაპიტალური ნაგებობებია, რომლის საკარმიდამო ეზოში აუცილებლადაა დამხმარე ნაგებობა – ნალია. წლების წინ საცხოვრებელი სახლები ხისგან ყოფილა აგებული, რომელიც დღეს უკვე თანამედროვე არქიტექტურით აგებულმა კაპიტალურმა შენობებმა შეცვალა.





დროთა ცვლას გაუძლო და თავისი პირვანდელი ფუნქცია შეინარჩუნა ოჯახის დოვლათის მაჩვენებელმა ნაგებობამ – ნალიამ. ის დღესაც აქტიურად გამოიყენება და შემოდგომის ნობათით დატვირთულია. ნალია თავისი აგებულებით ტიპური ქართული ნალიის ანალოგია. მხოლოდ სოფელ ზედა მაჭახელაში მოგზაურობისას შეგვხვდა განსხვავებული – ორსართულიანი ნალია, რომლის ანალოგი არსად გვინახავს.



ქართველი ერი მიწათმოქმედი ხალხია და მიწის სიყვარულს არსად ივიწყებს. მიწათმოქმედების დარგებიდან ძირითადად გავნითარებულია მევენახეობა, მესიმინდეობა, მეკარტოფილეობა, ბოსტნეულის კულტურები. სამწუხაროა, რომ დროთა ვითარებამ ვერ შემოინახა შრომის სიმღერების აქტუალობა; რაც ასევე საქართველოშიცაა პრობლემა.





მინათმოქმედების თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი ვერ შეუშალა სამეურნეო დანიშნულების ნივთების გამოყენებას. რაც შეეხება, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ისევე როგორც საქართველოში, თურქეთში მცხოვრებ ქართველებთანაც ნელ-ნელა სამუზეუმო ექსპონატის დანიშნულებას ღებულობენ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ნივთს დიდი რუდუნებით უვლიან და ინახავენ.





ქართული ტრადიციული სამზარეულოდან გამორჩეულად იგრძნობა აჭარული კერძებისადმი ნოსტალგია. რა თქმა უნდა, ადგილობრივმა სამზარეულომ თავისი გავლენა იქონია სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებში, მაგრამ კეცზე შემწვარ მჭადსა და ფხალობიოს მომზადების წესის მოყოლისას, თითქოს წარსულში ბრუნდებიან, წინაპრებს უბრუნდებიან, გგონია სამშობლოსაც უფრო უახლოვდებიან; რადგან ეს ყველაფერი ნენეის ახსენებთ. ნენე კი მათთვის ტკბილი მოგონებაა და ამავე დროს ტკივილიანიც.

ქართველი ერი სტუმართმოყვარე ხალხია. ის ამ უძვირფასეს ტრადიციას ყველგან უფრთხილდება, სადაც არ უნდა იყოს. სოფლის უხუცესები იგონებენ, რომ ადრე სახლებს განსაკუთრებული ოთახი – სტუმრის ოთახი, იგივე „მეიდან ოდა“ ჰქონია. ის ნებისმიერი გამვლელისთვის მუდამ მზად იყო. დღევანდელ სახლებს „მეიდან ოდა“ აღარ აქვთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ სტუმართმოყვარეობას უღალატეს. პირიქით სტუმარი ღვთისაა და სახლში, თავის გვერდით ღებულობენ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სოფელი მურათბეი. ჩვენმა მასპინძელმა ოჯახმა თანასოფლელებს გააგებინა ჩვენებურები, ქართველები არიან ჩამოსულიო. ალბათ, სოფელში არავინ დარჩენილა ჩვენთან მოუხვლელი, ყველას უნდოდა ქართული სიტყვის გაგონება, ქართველების დანახვა და მათ გვერდით ყოფნა. ჩვენი მასპინძეები კი

ყველა სტუმარს სათანადოდ ღებულობდა და ერთი ადამიანიც არ გაუშვია ვახშმის გარეშე.





თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრემ მუჰაჯირთა ყველაზე დიდი გულისტკივილი ქართული ენის სათანადოდ არცოდნაა. მათ უჭირთ ქართულად წერა და კითხვა. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები თანდათან ტოვებენ სოფლებს, გადადიან საცხოვრებლად დიდ ქალაქებში. მეგაპოლისებს კი თავისი კანონები აქვს და მასთან შეჭიდება რთულია. ჩვენი ერთ-ერთი რესპოდენტი დიდი გულისტკივილით იხსენებს თავის ბავშვობას – ოჯახში ქართულად საუბრობდნენ, სკოლაში შესულს მასწავლებელმა აუკრძალა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და უთხრა რომ ქართულად საუბარი დანაშაული იყო. ასე იზრდებოდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში შეიცვლა მდგომარეობა. „ჭკვაში რომ მოვდენ“, მიხვდენენ ვინ იყვნენ, საიდან და ვისი გორისანი. თავიდან დაიწყეს მშობლიური ენის შესწავლა. ცდილობენ ქართულად წერა-კითხვაც დაეუფლონ. საკმაოდ მიზანდასახულნი და მიზანსწაფნი არიან და ახერხებენ კიდეც. მათთვის ყველაზე დიდი საჩუქარი „დედა ენა“-ა. ქართული სახელები დაირქვეს და ერთმანეთს მხოლოდ ასე მიმართავენ, ოჯახში ქართულად საუბარს დაუბრუნდნენ. აქვე აუცულებლად უნდა აღვნიშნოთ ის სასიხარული ფაქტი, რაც ქართველებმა ძალიან დიდი ძალისხმევის შედეგად მიიღეს – დღეს უკვე ქართული ენის შესწავლა თურქეთის რესპუბლიკაში ოფიციალურად ნებადართულია. ადგილობრივ სკოლებში იკრიბებიან მშობლიურ სიყვავს მონატრებული „მუჰაჯირები“ და სამშობლოს იქედან ასე ეფერებიან – ინახავენ ყველაზე ძვირფასს – ქართულ ენას.





განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებენ თამარ მეფეს – იქაც ყველა თაღოვან ხიდს „თამარას ხიდს“ ეძახიან. ლეგენდებიც ახსოვთ დიდებულ მეფეზე და თამარ მეფის საფლავს იქაც ეძებენ.



თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებს არც ქართული ცეკვა და სიმღერა დავიწყნიათ, არც ქართული

ხალხური საკრავები. ჩვენი მოგზაურობის დროს რამდენიმე მათგანი დავაფიქსირეთ. ქართული ფოლკლორიდან მხოლოდ აჭარულისთვის დამახასიათებელი ცეკვა–სიმღერაა შემორჩენილი. „ჯინველო“ ყველამ იცის, დიდმა თუ პატარამ. ცეკვებიდან გამოირჩვა ხორუმი. თუმცა ეს არაა ჩვენთან არსებული „ხორუმი“–ს ზუსტი ანალოგი. სასცენო ვარიანტი „ხორუმისა“ დამუშავებული და ერთიანობაში შეკრული ცეკვაა. თურქეთში კი მისი რამდენიმე სახეობა გვხვდება „დელი ხორუმი“, „გადახვეული ხორუმი“ და ა.შ. ცეკვას თან ახლავს ბრძოლის ყიჟინის შემოძახილიც. „ხორუმი“ ხომ საბრძოლო ცეკვაა, მტერზე გამარჯვების ზეიმია და ალბათ ამანაც განაპირობა ამ ცეკვის ასეთი პოპულარობა. ძველი დიდების მოსაგონრად მას ყველა ზეიმზე ასრულებენ. სევდანარევი სიხარულის მომნიჭებელია მათი ყურება – ერთ დაძახებაზე შეიკრიბებიან ქართველები და ჩააბამენ ფერხულს; თითქოს წარსულს უბრუნდებიან, ისევ მამაც მებრძოლებად იქცევიან და მომავლის იმედით გულანთებულნი ერთმანეთს შეძახილებით ამხნევენ.





განსაკუთრებით ემზადებიან ქართველები „მარიობის-
თვის“ – სახალხო დღესასწაულისათვის. „მარიობა“ თავისი
მნიშვნელობით ახლოსაა აჭარულ ტრადიციულ სახალხო
დღესასწაულთან „შუამთობა“. ორივე ზაფხულში იმართება,
ორივეგანაა დოლი, ჭიდაობა, ცეკვა-სიმღერა, უკრავენ
დოლსა და გარმონზე, ჭიბონზე; მღერიან ქართულ ხალხურ
სიმღერებს; ანთებენ დიდ კოცონს და ერთ დიდ ოჯახად გა-
რეთიანებულნი შემოუსხდებიან ირგვლივ.

თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველთა ყოფა-ცხოვრება მეტ-ნაკლებად ერთმანეთისაგან განსხვავდება. საზღვრისპირა სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები შედარებით ნაკლებადაა. „მუჰაჯირები“ ამ მხრივ პრივილეგირებულნი არიან. აქ მრავლად ნახავ ქართული კულტურის ცენტრებს, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებს. მათ მეტი შესაძლებლობა აქვთ და ამას შესანიშნავად იყენებენ.



საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობა აჭარის კუთხის შთამომავლები არიან. აქაც და იქაც ერთნაირი წეს-ჩვეულებები აქვთ, ერთნაირად სცემენ პატივს უფროსს, ოჯახს და სამშობლოს. საცხოვრებელი ადგილებიც თითქოს ერთნაირი

აქვთ, მათთვის ერთია ამ დიდი კუთხის გულისტკივილი, მრავალსაუკუნოვანი საზღვრისპირა ცხოვრება. ისინი დღესაც ინარჩუნებენ ტრადიციებს და მათ კვალდაკვალ მიდიან.

ჩვენაც ვცდილობთ არ დავივიწყოთ ჩვენი წარსული, მისი დიდება და შევინარჩუნოთ მისგან საუკეთესო, ეროვნული ღირებულებები. ამ მიზნით აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მეოთხედ ვატარებთ საოჯახო და ინდივიდუალური შემსრულებლების ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ფესტივალს „ტრადიციების კვალდაკვალ“. ჩემთვის ძალზე სასიხარულოა, რომ მასში ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი. აგროვებენ სოფლად შემორჩენილ „მარგალიტებს“ და ჩვენამდე დიდი სიფთხილით მოაქვთ.





Maia Japharidze

In the footsteps of traditions
Summary

The article presents the personal impressions of the authors, which were created during the trip together with the students of different parts of Georgia and Turkey in Georgia.

**მიცვალებულის დაკრძალვა ზემო გურიისში
(საბჭოთა ეპოქა)**

გურული ფოლკლორული ტრადიციები და ადათ-წესები გამორჩეულია თავისი სიძველითა და მრავალფეროვნებით. იგი მეცნიერთა მიერ ჯეროვნად არის შესწავლილი და გამოვლენილი. ამ მხრივ, თუნდაც აპოლონ წულაძის დამსახურების აღნიშვნა რად ღირს. მაინც, უნდა ითქვას, რომ ისტორიული ჩვეულება-ტრადიციები ისევე ცოცხალი და ცვალებადია, როგორც თავად ცხოვრება. იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები, მიდის ერთი, ადგილს უთმობს ახალს, განსხვავებულს ღირებულებათა სისტემისა თუ მსოფლმხედველობითი თვალსზრისით, რის შესაბამისადაც განმტკიცებულ ჩვევა-შეხედულებებს საფუძველი ერყვია, ზოგჯერ ბუნებრივად, ზოგჯერ ძალდატანებითად და საბოლოოდ, ახალ, ძველისგან სავსებით განსხვავებული სახით იმკვიდრებს თავს.

ამჯერად ჩვენი თემა გურიას ეხება, უნდა ვთქვათ, რომ მასალა გურიის კულტურული ცხოვრების შესახებ არცთუ მცირედი რაოდენობით მოინახება საქართველოს სხვადასხვა სიძველეთსაცავებში, გურიის მკვიდრთა ოჯახებში, გურულთა მესხიერებაში, მათ მეტყველებაში, გურიის ბუნების ნიაღში და სხვა რიგის მონაცემებში (ა. წულაძე; 1971;37).

მოგეხსენებათ გურულების ემოციური მიმართება არამხოლოდ ცხოვრებისადმი, არამედ მისი აღმზრდელი გარემო-ბუნებისადმიც. მათი ეს მგრძნობელობა ცხოვრების ნებისმიერ ფაქტში იჩენს თავს, განსაკუთრებულად ცხადია, ჭირსა და ლხინში ვლინდება – დაწყებული „გამთენიეს ქორწილი“-ისთვის ყველა რიტუალის პუნქტუალური სიზუსტით დაცვით, დღიდან გოგოსა და ბიჭის ურთიერთგაცნობისა, ვიდრე პატარძლის უკვე მიმავალი მაყრების ეზოდან გადასასვლელ ჭიშკარზე „სტოლის მიდგამამდე“, დასრულებული ადამიანის სამუდამო განსასვენებელში დაბინავების რიტუალით.

გურიაში მიცვალებულის დაკრძალვისა და მისი გლოვის წესები შემდეგი თანმიმდევრობით წარმოგვიდგება: 1. გარ-

დაცვალება, 2. შეცხადება და მეზობელ-ნათესავების შეტყობინება, ქელეხისთვის მზადება, 4. სამძიმარი და დატირება, 5. დაკრძალვა, ქელეხი, გლოვა და მიცვალებულის მოსაგონარი დღეები (ნ. ქაჯაია; 1981;156).

დატირება გურიაში ამ კუთხის მცხოვრებთა გონიერების, მჭევრმეტყველების, მოთმინების, მაღალი კულტურის გამოვლინება იყო. მომტირალ-მომთქმელი წყობილსიტყვაობით იწყებდა, ყვებოდა გარდაცვლილის ცხოვრების დადებით დეტალებს, ატირებდა ირგვლივ მყოფთ, თავის თავსაც „შემოუძახებდა“, რადგან გარდაცვლილს უფრო ჭირდებოდა მოვლა და პატრონობა.

გურიაში მიცვალებულის გაპატიოსნებასა და გაცილებას დიდი ტრადიციები ჰქონდა. მიცვალებულს ოჯახი მეხუთე-მეშვიდე დღეს ასაფლავებდა. ამბობდნენ: „შეაკვდა ამ ოჯახის შენებას და იყოს პატარა ხანი“. გარდაცვალებიდან აუცილებლად კენტი რიცხვი უნდა შესრულებულიყო დაკრძალვის დღეს. მიცვალებულს ბაღზამს უკეთებდნენ, ან სპეციალურ საწოლის მსგავსს აკეთებდნენ და მას ყინულებს ადებდნენ, ისე რომ ნადნობ წყალს გამოსასვლელი ჰქონდა. ყინული ხშირ შემთხვევაში ბახმაროს მთებიდან ჩამოჰქონდათ, ნახერხიან ტომრებში აწყობდნენ კარგად რომ შენახულიყო, შემდეგ სამტრედიიდან ამოჰქონდათ, იქ სპეციალურად ამზადებდნენ.

თუ ასაკოვანის ან ლოგინად ჩავარდნილის სიკვდილის მოახლოებასთან გვაქვს საქმე, სოფელი საღამო ჟამს ავადმყოფის ეზო კარში იკრიბება. კითხულობენ საოჯახო საქმეების ამბავს და ეხმარებიან გარემოს მონესრიგებაში, გვიან ღამით იშლებიან. რჩება რამდენიმე ახლობელი დილაამდე, მათ „ღამის მათირები“ ჰქვია. ავადმყოფის გარდაცვალებას („სულის გაყრას“, „სულის ამოსვლას“) ოჯახის წევრებს არ ასწრებენ. ავადმყოფი თუ ძალიან „წვალობს“ და სული არ ეყრება, მას გულზე გარდაცვლილი ახლობელი ადამიანის სურათს დაადებენ და თხოვენ დაეხმაროს „სულის გაყრაში“ და იქ „ეპატრონოს“.

ამ რიტუალმა ჩაანაცვლა შემდეგი: მომაკვდავის სულთაბრძოლა თუ დიდხანს გასტანდა, ჭირისუფალი ღმერთს შესთხოვდა „მიიღე, უფალო, მისი სული“, მღვდელს მიუყ-

ვანდნენ. იგი „საღმრთო წიგნიდან“ „სულთა ბრძოლას“ წაიკითხავდა და შუამდგომლობდა ღვთის წინაშე ავადმყოფი ადრე გასცლოდა ამ წუთისსოფელს (ა. წულაძე; 1971;148).

ნ. ქაჯაია აღწერს: სულთამობრძავი ადამიანის შესამსუბუქებლად და სხეულიდან სულის მალე გაყრის მიზნით, სცოდნიათ სხვადასხვა საშუალებების გამოყენება, თუ კაცი იტანჯებოდა, მას სახლის გარეთ გამოიყვანდნენ და რაიმე სამეურნეო იარაღს მიუდებდნენ გვერდში, ყველაზე მეტად ხარის ულლის მიღება სცოდნიათ (ნ. ქაჯაია 1980,157).

იყო „გადაკივლების“ შემთხვევები, მაგალითად, როცა ავადმყოფს გული შეუწუხდებოდა, ე.ი ცოტა ხნით კავშირს დაკარგავდა, კონტაქტს ვეღარ ამყარებდა ჭირისუფალთან, ისინი სახლის აივანზე გამოვიდოდნენ და კიოდნენ საშველად უხმობდნენ მეზობლებს, ამბობდნენ, ისე ცუდად იყო „გადეიკივლესო“.

გარდაცვალებისას დამსწრეები მიცვალებულს თითონ აპატიოსნებდნენ, გამოხედავდნენ ოჯახის წევრებს, დაიკივლეთო ეუბნებოდნენ. მიაღაგ-მოაღაგებდნენ ყველა კუთხე-კუნჭულს, ტელევიზორსა და სარკეს ჩამოაფარებდნენ (ტელევიზორსა და რადიოს წლის თავის შემდეგ ჩართავდნენ). „ზალაში“ შუა ოთახში დაასვენებდნენ მიცვალებულს, რომელსაც წინ იატაკზე დაულაგებდნენ ახლობელი გარდაცვლილების გადიდებულ სურათებს.

შემდეგ პირველი ნაბიჯი იყო შეცხადიება. ოჯახის წევრს თუ არ შეეძლო მაღალ ხმაზე ეკივლა და კუთხე მეზობლებისთვის შეეტყობინებინა ოჯახის გაჭირვება, მეზობლის კარგად მოკივარი ქალი ჰყავდა შესახელებული ამ საქმის შესასრულებლად. თუკი შესახელებული ქალი არ ესწრებოდა გარდაცვალებას, მასთან ჩუმად უშვებდნენ მომკითხავს და ატყობინებდნენ ოჯახში მიცვალებულის ყოფნას. შემცხადიებელი მიდოდა და მთელი გულით კიოდა, ერთი სიტყვით, „დაამრგვალებდა კივილით იქოურობას“. მას სხვებიც ეხმარებოდნენ. შეცხადიება აუცილებელი იყო. თუ ვერ, ან არ, ან საშუალო სიმაღლის ხმით იცხადიებდნენ, ეს მერე სოფლის საქილიკო თემა ხდებოდა, შემცხადიებელს უწუნებდნენ მიცვალებულს. ჩქარი ნაბიჯით იწყებდნენ მეზობლები მისვლას სამძიმრის სათქმელად. ვინც თვლიდა, რომ მას მიცვალებულის შეცხადიება ევალებოდა თავს არ ზოგავდა და

თმაგაშლილი კიოდა.

შეცხადიების ხმა შორს მიდიოდა, თითქმის მთელი სოფელი გაიგებდა, რომ ესა და ეს მეზობელი გარდაიცვალა და მეზობლური ვალის მოხდაა საჭირო და სავალდებულო, უნდა მოვიდეს და მიუმტკიცენოს, სამძიმარი უთხრას--მიუსამძიმროს“(ა. ნულაძე; 1971; 151). ახლო მეზობლები ერთად იკრიბებიან და ჯგუფურად მიდიან სამძიმრის მოსახდელად.

გურულისათვის მეზობელი ყველაფერი იყო და მთელი სოფელი იმას ცდილობდა, ერთიმეორეში კარგი მეზობლობა ჰქონოდათ, სოფლის შეხმატკბილება და ჰარმონია არ დარღვეულიყო. თანხმობა, თვისება, ერთიმეორის გატანა მთელი სოფლის საზრუნავი გახლდათ. ავადმყოფს თუ სიცოცხლეში არ შეურიგდებოდა, მაშინ ტირილი და ჭირისუფლისთვის სამძიმრის გამოცხადება არ შეეძლო, სოფელი ჭირსა და ლხინში ერთსულოვნად უნდა ყოფილიყო, ერთიმეორის დანდობა და გატანა უნდა შეძლებოდათ (ა. ნულაძე, 1971;132).

მიცვალებულის კარგად გასასვენებლად, შეარჩევდნენ „თავი“ კაცს („ჭკუა საკითხავს“), ვინც უხელმძღვანელებდა მიცვალებულის გაცილებას, ასევე ირჩევდნენ ხელმძღვანელ ქალს, რომელიც უფრო ქალებს გაუნევდა მეთვალყურეობას, დაასაქმებდა. მეზობლის ქალები დაინყებდნენ სახლის დალაგება--დასუფთავებას, შემდეგ მამაკაცებს ეხმარებოდნენ ეზოს მოწესრიგებაში.

შეცხადიება, როგორც კი გათავდებოდა, თავმჯდომარეს არავინ ირჩევდა, მაგრამ თათბირი, ბჭობა სრული წესრიგით დაინყებოდა, ყველა სოფელს და თითოეულ სახევისთაოსაც ყოველთვის ჰყავდა მოთავე „ჭკუა საკითხავი“ კაცი, რომლის სიტყვა, რჩევა-დარიგება სხვებისთვის „ბეჭედი“ იყო. ის გამოირჩეოდა გამოცდილებით, სიდარბაისლით, ჭკუა-მახვილობით, ზნეობით. ის იყო თავისი ხალხისა და კუთხის პატრიოტი (ა. ნულაძე, 1971;153).

ოჯახის წევრები დათქვამდნენ დასაფლავების დღეს. აკეთებდნენ სიას, ვისთვის უნდა გაეგებინებინათ ტრაგედია, წერდნენ ნეკროლოგს გაზეთისთვის და ამასთანავე წერილებისათვის, რომლებსაც უგზავნიდნენ სიაში მყოფებს. არჩევდნენ გასადიდებელ სურათს. ახლო ნათესავი თუ მოკეთე,

რომელიც თვლიდა, რომ სურათი უნდა გაედიდებინა ისიც ირჩევდა სურათს. მიჰქონდა და დასაფლავების დღეს მიიტანდა გადიდებულს, სამგლოვიარო გვირგვინთან ერთად, გვირგვინზე აუცილებლად შავ „ლენტზე“ უნდა ყოფილიყო წარწერა, ვისგან იყო „ვენოკი“, სურათს ოჯახში ტოვებდა. თუ ახალგაზრდა იყო გარდაცვლილი, ოჯახი აკეთებდა პატარა სურათებს, რომელებსაც გულზე იმაგრებდა, ვისაც სურვილი ჰქონდა.

ახლობელ-ნათესავებთან წერილებს ატანდნენ მეზობელს, წერილს ხშირად ბოლოს მიწერილი ჰქონდა. „ვენოკის ადგილზე გამოსყიდვით“. ე.ი. წერილის პატრონი წინასწარ ყვავილებს ან ვენოკს არ იყიდდა. დასაფლავებაზე მისულს კიბესთან გამოუტანდნენ „ვენოკს“, რომელიც იდო მიცვალებულთან და საფასურს იხდიდა. ეს ერთი ვენოკი რამდენჯერმე გაიყიებოდა, ფული კი ოჯახს რჩებოდა, „ვენოკის“ მყიდველი ფულს აღარ დანერდა (ასეთი უცნაური ფორმით უგროვებდნენ ოჯახს ფულს).

მიცვალებულის მიხედვა იწყებოდა კუბოს შეკვეთით. შემდეგ მოიწვევდნენ ქალს, რომელიც უნდა წასულიყო სავაჭროდ, მიცვალებულისთვის უნდა ეყიდა საცვალი, კაბა, თუ კაცი იყო შარვალი პიჯაკით, ნემსი, ძაფი, სავარცხელი, ფეხსაცმელი, საპარსი მოწყობილობა. სარკე არ შეიძლებოდა, ოჯახისთვის ცუდი იყო, მიცვალებული „აირეკლებოდა“. მიცვალებულის ჩაცმა გაკობტავება ძალზედ მნიშვნელოვანი იყო.

ასაკოვან ქალებს ხშირად ჩემოდანში ჩაალაგებული ჰქონდათ ყველა ნივთი, რომლებიც უნდა „გაეყოლებინათ“ და ტანსაცმელი, რომელიც უნდა ჩაეცმიათ მისთვის გარდაცვალების შემდეგ.

ა. ნულაძე მეტად საინტერესო ფაქტს არწერს: სიტყვა კუბოს თქმა ძალიან ეჯავრებოდათ--ამბობდნენ მიცვალებულს „კონახი“, სახლი, ბინა. უწინ კუბო არ სცოდნიათ, ხმარობდნენ „ჯალამბარს“, ჯალამბარი საკაცეს მსგავსი სცოდნიათ (ორი 4-5 არშინიანი ჯოხი გაბანდული ტყიური მიწის სუროთი ვენახიან „წირეხვით“--ლელექით) ტანგაბანილ მიცვალებულს მთლიანად შესუდრულს დაასვენებდნენ ზედ. საფლავში ხელით ჩაასვენებდნენ. ჯალამბარი შეცვალა უთაო კუბოს მაგვარმა ყუთმა, უბრალო ფიცრიდან „შეკერილმა“, ამაშიც შესუდრულ მიცვალებულს ჩასვამდნენ,

საფლავთან ამოიღებდნენ და მიცვალებულს საფლავში ჩასვამდნენ. კუბო ყუთი კი იქვე რჩებოდა, შეიძლებოდა სხვასაც ესარგებლა (ა. წულაძე; 1971;171).

მოიყვანდნენ მკერავ ქალს, რომელიც ოჯახის წევრებს, აულებდა ზომებს იყიდდნენ საკმაო რაოდენობის შავ ნაჭერს და ოჯახის ყველა წევრს უკერავდნენ თითო ხელ ტანსაცმელს, ბავშვებსაც კი (ეს პროცესი აუცილებელი იყო, რომელსაც შავის გაჭრა ეწოდებოდა). შავი ნაჭერი იკერებოდა სახლის აივანზე გასაკრავად. სახლზე გაკრულ შავის ჩამოხსნა არ შეიძლებოდა წლისთავამდე მაინც, თუ ქარი ჩამოაგდებდა აილებდნენ და დანვავდნენ, ერთი კუთხითაც, რომ ყოფილიყო ჩამოკიდებული შავს არ გაასწორებდნენ „იბრძნიდნენ“. წლისთავზე მეზობელი ჩუმად ჩამოხსნიდა და დანვავდა.

განანილდებოდა საქმე, ირჩევდნენ მესაფლავეებს, რომლებსაც გურიაში მესამარეები ჰქვიათ. მესამარეების რაოდენობა აუცილებლად კენტი უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა სისხლის ნათესავის მესაფლავედ ყოფნა. აქვე გვინდა ავღნიშნოდ ერთი ფაქტი (2015 წელი) სოფელ ზემოსურებში, (რომელსაც ყველაზე მეტად ეტყობა მიგრაციის მძიმე ხვედრი, რასაც თან დაერთო მამაკაცების მეზობელ სახელმწიფოებში სამუშაოდ გასვლა), გარდაცვლილი მეზობლის სამარე ქალებმა გათხარეს, რასაც ორი დღე მოჰყვმოდა. მიცვალებულის გამოსვენებასა და სამარეში ჩასვენებაზე კი დასაფლავებაზე სხვა სოფლებიდან მისული მამაკაცები დაეხმარნენ.

სოფელში ძალიან საპატივცემულო ადამიანი იყო ის, ვინც მკვდარს მიხედავდა, განბანდა და ჩააცმევდა, ოჯახი ასეთ ადამიანს საჩუქარს უკეთებდა. ის გათავისუფლებული იყო დასაფლავების დღეს ყოველგვარი საქმისაგან. ჩამცმეული დილით ადრე მიდიოდა, ოჯახის წევრების თანდასწრებით ჩაალაგებდა კუბოში ყველა საჭირო ნივთსა და ტანსაცმელს ჩააცმევდა მიცვალებულს.

დასაფლავების დღისთვის ოჯახი ცდილობდა მწუხარება მთელი სიმძაფრით გამოეხატა, როგორც ვთქვით, სახლის აივანსა და ბოძებზე შავ ნაჭრებს აკრავდა, სამგლოვიარო მუსიკებს რთავდა, სურათებს გამოფენდა.

ხელმძღვანელი ქალი აკეთებდა მეზობლების მორიგეობის სიას, ვინ როდის მიიტანდა სადილს მიცვალებულის ოჯახში.

3-4 მეზობელი შეზიარდებოდა, ჯერ მიიტანდა ახლო მეზობელი. სადილის მიტანა ხდებოდა გოდრებით, კალათებით, ქვაბებით. სუფრა სადილის მიმტანს უნდა გაეშალა და აელაგებინა, მეზობლებიც ესწრებოდნენ, იმახსოვრებდნენ მოტანილ სადილის „მენიუს“ და ცდილობდნენ მათი მორიგეობის დროს სადილი უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო.

განსაკუთრებულად ევალებოდა ერთ-ერთ ქალბატონს ეკონტროლებინა ე.წ საკურთხი. ლაგდებოდა ერთ თეფშზე მიტანილი სადილის ყველა კერძიდან აღებული თითო ლუკმა, თეფში იმ ოთახში უნდა დადებულიყო, სადაც მიცვალებული ესვენა, მეორე დღეს საკურთხის თეფშიდან აუცილებლად ოჯახის წევრი ჭამდა და ახალს ალაგებდნენ. ასევე დგამდნენ ღვინოსა და წყალს.

თუკი მანამდე მიცვალებულის პატივისცემა და სიყვარული ზარითა და კელაპტრით ფასდებოდა, როგორც ა. წულაძე გადმოგვცემს, შემდგომ კელაპტარი ჩაანაცვლა სამგლოვიარო გვირგვინის მიტანამ, გაზეთში სამძიმრის დეპეშის განთავსებამ და ფულადმა შემწეობამ, დასაფლავების დღეს ხშირ შემთხვევაში იჯდა ორი ადამიანი, რომელებიც წერდნენ სიას ფულის შემომწირველებისა. ზარი კი სამგლოვიარო მუსიკებმა, დღეს კი საგალობლებმა შეცვალა.

მზარეულთან ერთად ჩამოინერებოდა სადილის (ქელეხის) სია, ხშირად იყო „მრგვალი ჯდომა“ – „საერთო ხარჯი“, ე.ი სატირალში მოსულ ყველა სტუმარს ინვევდნენ სუფრასთან. ინერებოდა რამდენი სურსათ-სანოვარე და ჯამჭურჭელი დასჭირდებოდათ. სეფის გაშლა, მაგიდისა და სკამების მოწყობა კაცებს ევალებოდათ. ჭურჭელს ქალები რეცხავდნენ. ეხმარებოდნენ მზარეულს პროდუქტის დამუშავებაში. ახალგაზრდები ემსახურებოდნენ სუფრას, ორ გოგონასთან ერთად ერთი ბიჭი უნდა ყოფილიყო ღვინისა და წყლის ჩამომსხმელად. სეფასთან ახლოს გაკეთდებოდა ე.წ ბუფეტი, სადაც შეჭქონდათ გამზადებული კერძები, იქაც ანაწილებდნენ ორ მამაკაცსა და ორ ქალს, მათ ევალებოდათ ხელმძღვანლის მითითებით, რამდენ თეფშზე დაელაგებინათ ესა თუ ის კერძი. ხელმძღვანელი ქალი თვალყურს ადევნებდა გოგონებს, რათა სუფრა ლამაზად გაეშალათ.

გამოსვენების დროს კარებს ჩაკეტავდნენ, მიცვალებულს ოთახში რამდენჯერმე დაატრიალებდნენ, ტახტი, რო-

მელზეც მიცვალებული ესვენა წააქცევდნენ, ფეხების მხარეს კუბოს მიაგრტყამდნენ კარებს, თითქოს მას ალებინებდნენ, ფანჯრის ერთ შუშას ჩატეხავდნენ. ახალგაზრდის გამოსვენების დროს ეზოში ხეს ჭრიდნენ.

ჩაიყვანდნენ მიცვალებულს ეზოში და დაასვენებდნენ სკამებზე. იწყებოდა გამოსამშვიდობებელი სიტყვები, აქაც პირველ სიტყვას წინასწარ შესახელებული კაცი ამბობდა, ყვებოდა გარდაცვლილის ბიოგრაფიას, იგონებდა მის კარგ საქმეებს, ოჯახს ლოცავდა და თხოვდა ვინმეს ვისაც სურვილი ჰქონდა ეთქვა ორიოდ სიტყვა. სამძიმრის დეპეშებს კითხულობდნენ ყველას თუ არა, რამოდენიმეს მაინც.

ეზოდან გასვენების დროს იმ სკამებს, რომელზეც კუბო იდო წააქცევდნენ. მიცვალებული მიჰყავდათ სასაფლაოზე, წინ მიმავალს მიცვალებულის სურათი მიჰქონდა, უკან გვირგვინები და ყვავილები, რომელსაც გზადაგზა აგდებდნენ. საფლავთან ემშვიდობებოდნენ მიცვალებულს, ხოლო მის ჩასვენებას საფლავში ოჯახის წევრებს არ ასწრებდნენ. ბავშვს, რომელსაც სურათი ეჭირა, სურათს შეუტრიალებდნენ და ჭირისუფალს გააფრთხილებდნენ, აღარ იტიროთ ისე წადითო. ერთი ადამიანი იყო გამოყოფილი, რომელიც გვირგვინებს აძრობდა შავ არშიებს და მიჰქონდა ოჯახში. ოჯახი ამ არშიებსა და მისასამძიმებელ დეპეშებს ინახავდა ორმოცამდე. მეორმოცე დღეს ამ ყველაფერს სასაფლაოზე წვავდნენ. ცდილობდნენ ოჯახიდან გაეტანათ ყველა ნაშთი, რაც გარდაცვლილის სახელზე იყო. გურული მიცვალებულს აუცილებლად უხდიდა: მე-9 დღეს, რომელსაც „სულის ახსნას“ ეძახდნენ, მე-40-ს. ორმოცის შემდეგ წლისთავს აუცილებლად, რომელსაც „ჭერის ახდას“ ეძახდა და ამ დღეს აუცილებლად უნდა ემღერათ. ამ დღეებში აუცილებლობად თვლიდა მესაფლავეებისა და ჩამცმელის მოწვევას, ნათესავს დატოვებდა დაუპატიჟებელს და ამ ხალხს არა.

სასაფლაოდან დაბრუნებულები ხელზე ივლებდნენ ღვინოგარეულ წყალს, ერთი ადამიანი ჩაიდსანითა და პირსახოცით ხელში იდგა შემოსასვლელ ჭიშკართან და ყველა შემომსვლელს ხელზე ავლებდა წყალს. ეს აუცილებელი რიტუალი იყო. ყველა ცდილობდა, ხელზე წყალგადაუვლებელი არ დარჩენილიყო. სუფრასთან ჭირისუფალი აუცილებლად უნდა დამჯდარიყო და ევახშმა. თამადა წინასწარ იყო გაფ-

რთხილებული. იგი წინასწარ იყო „ნახემსებული“, რათა ღვინო არ მოჰკიდებოდა.

ისეთ დროს, როცა ადამიანი ოჯახის გარეთ ცხოვრობდა და გარდაცვლილი ჰყავდა ახლობელი: დედა, მამა ან რომელიმე ოჯახის წევრი და ახლო ნათესავი, მოყვარეც კი, აუცილებელი იყო მას დასაფლავებაზე ხალხი წაეყვანა. ის სახლში მათთვის ამზადებდა სადილს და ტრანსპორტირების ფულსაც თითონ იხდიდა. საინტერესო ფაქტია, რომ თუ კი მას თუ არ შეეძლო მაღალი ხმით ეკივლა, ის მეზობლის ორ „კარგად შეხედულ“ ქალს სთხოვდა, რომ დასაფლავებაზე მისულებს ეზოდანვე ეკივლათ და ტირილით შეეტყობინებინათ მათი მისვლა, ასეთ შემსრულებლებს „ჩამყოლები“ ჰქვიაოდა. ჩამყოლები თავიანთ საქმეს, რომ შეასრულებდნენ, „სეფაში“ სასადილოდ შედიოდნენ და მალე ავინწყებოდნენ მიცვალებული.

ნ. ქაჯაიას აღწერით: ზოგ ნათესავს ტირილში 28 კაცი მიჰყავდა, რომელნიც თავისი ცხენებით მიდიოდნენ. ამ 28 კაცს 2-3 მოსამსახურე მაინც დასჭირდებოდა (ნ.ქაჯაია; 1980; 159).

გლოვასაც თავისი წესები ჰქონდა, ახალგაზრდა ქვრივი ქალი „გადაუტეხავი“ შავი კაბით დადიოდა და შავ სამოსს სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა. სასაფლაოზე 40 დღეს არ გადიოდა, მე-40 დღიდან იწყებდა გასვლას. 40 დღის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეეძლო ოჯახში ხმამაღლა ტირილი. წლისთავამდე ღვინოში არსად მიდიოდა.

რესპონდენტი რუსუდან ბერიშვილი იგონებს თუ როგორ დასტიროდა დედა (კლარა), აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულ შვილს მამუკა (მათე) იურის ძე კალანდაძეს (გვარდიის მეთაური), რომელმაც მასთან გვერდით მეზრძოლი ბიჭები არ მიატოვა (მას შეეძლო წამოსვლა და გადარჩენა მაგრამ . . .). დედა ორი უწლოვანი შვილის ობლად დამტოვებელ მამას დასტიროდა: „მამა უნდა შენს შვილებს, პატრონი აღარ ჰყავთ, შეგეძლო არ მომკვდარიყავი, მარა შენ გვერდით პატარა ბიჭებს ხომ არ მიატოვებდი, არ გამტყუნებ, შვილო! სამშობლოსა და შენს მეგობრებს შეენირე, ვიამაყებთ, კარგი გაგვიზრდისხარ“.

სოფელ ხიდისთავში ერთი ოჯახი გოგოს ათხოვებდა (1970 წელი). ქორწილისთვის დიდი მზადება იყო, წინა დღით გარდაიცვალა ოჯახში ბებია, ჭირისუფალი საგონებელში ჩა-ვარდა, შეთანხმდნენ ოჯახის წევრები, მოაწესრიგეს მიცვა-ლებული, გამოუკეტეს ოთახის კარები. ჩაატარეს ქორწილი, გაჭირვება არ აგრძნობინეს სტუმრებს, ასიამოვნეს. მეორე დღეს „შეიცხადეს მკვდარი“.

სოფელ ფარცხმაში ბავშვი მარალი სიცხით წითელა ბა-ტონების დროს გარდაიცვალა, ოჯახმა სახლის აივანსა და ბოძებზე წითელი ბაფტები გააკრეს (ჩ.მ.მ. ფ. 12).

ქეთო ჩხიკვიშვილის ინფორმაციით, სოფელ შუა ამაღლე-ბაში, დასაფლავებაზე მისულს, უნახავს როგორ იყო დამონ-ტაჟებულილი გარდაცლილის სიმაღლის სურათი, რომელ-საც სახლის აივნიდან მართავდა ორი ახალგაზრდა, სურათს მიიტანდნენ ჭიშკრამდე და სამძიმარზე მისულ ყველა სტუ-მარს სურათი მიაცილებდა შესასვლელ კარამდე.

სოფელ ხიდისთავში 1975 წელს დედაქალაქიდან მშობ-ლიურ სოფელში დასაკრძალად ახალგაზრდა ქალი ჩამოას-ვენეს, ოჯახმა „საერთო ხარჯი“ არ გასწია, სალამოს ქელებ-ზე მიიწვიეს დამსწრე საზოგადოება, ეს გარდაცვლილის სა-პატივცემულოდ გააკეთეს, რადგან იცოდნენ, რომ ამ დროს ხალხი სასმელს ეტანებოდა და მიცვალებული ავინყდებო-დათ. სოფელში კარგა ხანს იყო საქილიკო თემა, რა გაუჭირ-დათ, „მრგვალი ჯდომა“, რომ არ გააკეთესო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ.ქაჯაია, ვგურია, თბ. 1980;
2. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სოფელ ფარ-ცხმის ისტორია (ჩ.მ.მ. ფ 12;
3. ა. წულაძე; ეთნოგრაფიული გურია, 1971;

Natia Kalandadze

*The burial of the dead in upper Guria
(Soviet era)
Summary*

Gurian folk traditions and customs are distinguished with their old diversity. In the article, based on field data, ethnographic materials depicting the funeral ritual in the Soviet era in upper Guria.

**დარგობრივი ლექსიკის ეთნოლინგვისტური
ასპექტები**

**(აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკის მასა-
ლების მიხედვით)**

ეთნოლინგვისტიკა ენათმეცნიერების დარგია, რომელიც შეისწავლის ენის ურთიერთობას კულტურასთან. მისი დანიშნულებაა, გვაჩვენოს რა საშუალებებითა და ფორმებით აისახება ამა თუ იმ ენის მატარებელი საზოგადოების გაერთიანების – ეთნოსის – კულტურული შეხედულებები გარე სამყაროსა და მის ადგილზე ამ სამყაროში. ეთნოლინგვისტიკა განსაკუთრებული მიმართულებაა ენათმეცნიერებაში, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ენის ფუნქციონირების ასპექტებს, იკვლევს ეთნოსის კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამდენად, ეთნოსთან მიმართებაში, ეთნოლინგვისტური კვლევისათვის მნიშვნელოვანია უპირველესად ენა, რომლის მეშვეობითაც ეთნოსი ინარჩუნებს თავის კულტურას და თაობიდან თაობას გადასცემს მას.

ეთნოლინგვისტიკის ისტორიას თუ გავიხსენებთ, უფრო გავერკვევით, რამ განაპირობა მისი ცალკე დარგად გამოყოფა. ევროპელების მიერ ჩრდილო ამერიკის კოლონიზაციამდე (XV-XVII ს.ს.) ჩრდილო ამერიკა დასახლებული იყო ინდიელებით, აცტეკებით, ესკიმოსებით და სხვ. ტომებით. ამ დროისათვის ისინი პირველყოფილი თემური წყობილების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ. ჩრდილო ამერიკის კოლონიზაციას თან სდევდა მათი მიწების მიტაცება და აქ მცხოვრები ხალხის ხოცვა-ჟლეტა. ყველაზე მეტად ევროპელთაგან იმარჯვეს ინგლისელებმა და XVII ს-ის II ნახევარში თითქმის მთლიანად დაიპყრეს ჩრდილო ამერიკა. ადგილობრივ მკვიდრთა გადარჩენილ ნაწილს რეზერვაციებში აცხოვრებდნენ. დაიწყო კაპიტალიზმის განვითარება და ჩრდილო ამერიკული ერის ჩამოყალიბება. ევროპელ დამპყრობლებს ურთიერთობა უხდებოდათ უცნობი წარმოშობის, კულტურის და იერსახის ტომებთან, რომელთა გაცნობა–შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ის-

ტორიის ახლებურად გააზრებისათვის. ეს საკითხი რომ წარმატებით გადაჭრილიყო, საჭირო გახდა ჩრდილო ამერიკის ტერიტორიაზე მცხოვრები მცირე ერებისა თუ ეთნოსებისათვის უმწერლობო ენისა და ასობით დიალექტის შესწავლა. ენათა და დიალექტთა შესწავლა დაიწყო სხვადასხვა მიმართულებით. ყველაფერი ეს მოქცეული იყო ანთროპოლოგიის ჩარჩოში. დაგროვებული მასალების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ამ მასალებით, ენებთან და დიალექტებთან ერთად, შესაძლებელი იყო, ასევე, შესწავლილიყო, ამ ეთნოსთა თუ ეთნოლოგიურ ჯგუფთა მატერიალური და სულიერი კულტურა – რელიგია, ეთნოლოგია, მითოლოგია, ფოლკლორი, ხელოვნება...

ეთნოლინგვისტიკას საფუძველი ჩაუყარა ფრანც ბოასმა. ბოასის იდეები განავრცეს მეცნიერებმა **ედვარდ სეპირმა** და **ბენჟამინ უორფმა**.

ეთნოლინგვისტიკის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ამერიკელმა ლინგვისტმა **უილიამ ფოლიმ** თავისი სახელმძღვანელოთი „ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის შესავალი“. ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა ანუ ეთნოლინგვისტიკა კოგნიტური (შემეცნებითი) მიმართულებებით სწავლობს, რა ფორმით, რა საშუალებებით აისახება ენაში ეთნოსის კულტურული (რელიგიური, სოციალური, საყოფაცხოვრებო და სხვ.) შეხედულებები, როგორია სამყაროს მსოფლალქმა და სად ხედავს ეს ეთნოსი, ერი ან ადამიანი თავის თავს ამ სამყაროში.

როგორც ვხედავთ, **ეთნოლინგვისტიკა**, სხვა მიმართულებებთან ერთად, გულისხმობს ენის ისტორიულ, დიაქრონულ ჭრილში შესწავლას ეთნოსის რელიგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის და სხვ. მონაცემების გათვალისწინებით. ისტორიული თვალსაზრისით ამ მიმართულებათა შესწავლისას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოსისათვის დამახასიათებელ ლექსიკას, რადგანაც იგი უშუალოდ ასახავს ენობრივი კოლექტივის ყოფას, მატერიალურ და სულიერ კულტურას, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეალობას.

ეთნოლინგვისტიკამ, როგორც ენათმეცნიერების დარგმა, თანდათან მოიკიდა ფეხი მსოფლიოში. საქართველოში ამ მხრივ კვლევები უკვე მე-19 ს-ში დაიწყო და განსაკუთრე-

ბით ინტენსიური გახდა მე-20 ს-დან. ეთნოლინგვისტური კვლევისათვის შესანიშნავი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს ჩვენმა დიდმა მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მეცნიერებმა. საჭირო მასალების მოძიებისას, ამ მხრივ, აღსანიშნავია მე-20 ს-ის 30-იან წლებში ჩატარებული ექსპედიციები, განსაკუთრებით, 1935 წლის ექსპედიცია, რომელიც ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით მოეწყო და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჩაიწერა მასალები შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შესასწავლად. ივ. ჯავახიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ექსპედიციაში მოპოვებულ მასალებს და აღნიშნავდა, რომ აქ „თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს... აღბეჭდილია უკვე ის, რასაც ადამიანი მალე ვეღარ გაიგონებს და ვერც გაიგებს“. სხვა მეცნიერთა კვლევები რომ არ გავიხსენოთ, საკმარისია, თვალი გადავავლოთ ისევ ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებს, რომ დავინახოთ, რა ოდენობით იყენებდა იგი თავის გამოკვლევებში ხალხში შეკრებილ მასალებს და რა სიღრმისეულ დასკვნებს აკეთებდა მათზე დაკვირვებით.

ასევე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფში შეკრებილ მასალებს არნ.ჩიქობავა და აღნიშნავდა, რომ „ენის ისტორიის ტვირთი „ენის გეოგრაფიას“ უნდა დააწვეს. ისტორიის მქონე ენებისთვისაც ენის გეოგრაფია ე. ი. დიალექტებში მოცემული ფაქტები უდიდესი საშუალებაა ენის ისტორიის მკვდარი სინამდვილის გასაცოცხლებლად“.

ამ იდეის გამოძახილი იყო ის ფაქტი, რომ მე-20 ს-ის 60-70-იანი წლების მიჯნაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გადანყვეტილებით, შეიქმნა ენის ისტორიისა და დიალექტების შემსწავლელი საკოორდინაციო საბჭო. სხვა მასალებთან ერთად, გადანყდა, შეკრებილიყო ქართული ენის დიალექტთა დარგობრივი ლექსიკა. ამ საქმიანობას სათავეში ჩაუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. შეიქმნა დარგობრივი ლექსიკის შემკრებ-შემსწავლელთა ჯგუფები. ჩვენს ინსტიტუტში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერ-

რო-კვლევითი ინსტიტუტი. ახლა, ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი) ფოლკლორის განყოფილებაშიც შეიქმნა ასეთი ჯგუფი. ამ ჯგუფში ვიყავით ნელი ცქიტიშვილი და მე. რამდენიმე წლის შემდეგ, ნ.ცქიტიშვილის თბილისში გადასვლის გამო, მუშაობაში ჩაერთო ნ.სურმავა, ხოლო ლაზურ დარგობრივ ლექსიკაზე სამუშაოდ – ც.ნარაკიძე. დაიწყო და წლების განმავლობაში იკრიბებოდა მასალები აჭარის სამეურნეო და საოჯახო ყოფის, სულიერი კულტურისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების საკითხებზე.

ამ საქმიანობამ მართლაც დიდი შედეგი გამოიღო დიალექტების დარგობრივი ლექსიკური მარაგის დადგენა-შესწავლაში, მაგრამ დარგობრივი ლექსიკა მარტოოდენ სიტყვების მოძიებას არ გულისხმობს. იგი ამ მეთოდით სწავლობს მთლიანად ამა თუ იმ დარგს, შეძლებისდაგვარად დანვრილებით აღწერს დარგთან დაკავშირებულ ყველა წვრილმანს, ყველა წეს-ჩვეულებას, რიტუალს თუ სხვ. ამ მხრივ დიალექტოლოგის მუშაობა ემსგავსება ეთნოგრაფის მუშაობას იმ განსხვავებით, რომ დიალექტოლოგისათვის ლექსიკური ერთეული მთავარია მისი ფონემური აგებულებით, გრამატიკული ფორმით, სემანტიკით, საზოგადოებაში ფუნქციონირების თვალსაზრისით, ეთნოგრაფისათვის კი დანიშნულებით, სემანტიკით, ისტორიით, განზოგადებულობის და სხვ. თვალსაზრისით. ამიტომაც, დარგობრივ ლექსიკას მჭიდრო კავშირი აქვს ეთნოლოგიასთან და სწორედ აქედან იკვეთება მისი ეთნოლინგვისტური ასპექტებიც. ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ცალკეულ დიალექტთა დარგობრივი ლექსიკის კვლევა გვაძლევს საშუალებას, რომ კვლევისას დავადგინოთ არქაული ლექსიკური ერთეულები, ძველ თუ საშუალ ქართულში გამოყენებული ტერმინოლოგია, ნასესხობანი, საკუთრივ ამა თუ იმ ეთნოლოგიური ჯგუფისათვის დამახასიათებელი სიტყვა-ტერმინები, ხატოვანი გამოთქმები და სხვ., რომელთა მეშვეობითაც შევძლებთ, წარმოვაჩინოთ დიალექტის, ჩვენს შემთხვევაში, აჭარული დიალექტის, ორგანულ კავშირი მშობლიურ სალიტერატურო ენასთან და ის განსხვავებებიც, რომლითაც ერთი ეთნოლოგიური ჯგუფი განსხვავდება სხვებისაგან და ამით, რაც შეიძლება მეტი მონაცემით შევაკსოთ ჩვენი მშობლიური ენის ისტორია და თვითონ ენაც!

ყველა დარგთან დაკავშირებულ ლექსიკურ მასალაში შეიძლება მოვიძიოთ ისეთი ტერმინები და თქმები, რომლებიც ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც ლინგვისტის, ისე ეთნოლოგისათვის. ამ პრინციპითაა შესწავლილი ლექსიკური ერთეულები ჩემ ნაშრომში „ფეიქრობის ტრადიცია და ლექსიკა (აჭარა)“. მასში არა მხოლოდ ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით შევისწავლეთ საფეიქრო ტერმინოლოგია, არამედ შევეცადეთ დაგვედგინა ტერმინთა ეთნოკულტურული დანიშნულება და ეთნოგრაფიული ტრადიციების მეშვეობით დაგვედგინა მათი სემანტიკა. კვლევამ ბევრი საინტერესო სიტყვა-ტერმინი წარმოაჩინა. მაგალითად, გამოვყოფდით სიტყვას **ჭიბოშანა**. იგი ნამჭრელის, ორნამენტის, ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ქსოვისას გამოიყვანენ, „ჩახატავენ“ ნაქსოვში, მაგრამ ეს ტერმინი გვაქვს სამშენებლო ლექსიკაშიც: **ჭიბოშანი** ხის გლუვად სათლელი იარაღია. სამშენებლო იარაღიცა და ნაქსოვის სახეც საინტერესოა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, მაგრამ ჩემი დაინტერესება ამ ტერმინმა გამოიწვია იმით, რომ ამ სიტყვის ფუძე გვაქვს ზანურშიც **ჭიბოშ/ჭიმოშ**, რაც თოკის გრეხას ან თამბაქოს ფოთლების დახვევას აღნიშნავს; –ან კი (ჭიბოშ-ან-ი) უძველესი ქართული მანარმოებელი სუფიქსია. ზანური **ჭიბოშ** უკავშირდება საერთოქართველურ ძირს *წმას* (აჭარულში *წმასნა*), რაც გრეხას, კლაკნვას აღნიშნავს: „ბაღანაჲ რომ იწმასნება, მუცელი სტკივა“; „ჩერიაზე იგრიხება, იწმასნება ძაფი“. როგორც ვხედავთ, აჭარულმა დიალექტმა შემოგვინახა ქართველურ ენათა კვლევისათვის ორი შესანიშნავი სიტყვა: **წმასნა** და **ჭიბოშანი**. წმასნა საერთოქართველური ტერმინია, **ჭიბოშანი** კი – ზანიზმია აჭარულში.

ავიღოთ მეორე ტერმინი **თითისტარი**. აჭარულში გვაქვს მისი ფარდი ორი ტერმინი **ხერტალი** და **ჩერია**. ხერტალი ანუ ხელტარი სხვა დიალექტებშიც გვაქვს, დასტურდება სვანურშიც, მაგრამ სვანურში იგი ქართულიდანაა შეთვისებული. რაც შეეხება ტერმინს **ჩერია**, იგი სამივე ქართველურ ენაშია ცნობილი და უკავშირდება სვანურ ტერმინს **ჩჳრი/ჩჳრი-წვივი**, ძვ. ქართულში –**კვირი**, **კვრი** (ნ.ჭინჭარაული). სვანურში გვაქვს, ასევე, ტერმინი **ჩერშდა** – კვირისთავი, ხოლო ქართული ენის მთის დიალექტში **ჩერანი** –წვივის

ძვალი, „წვივის გნდე“ (ნ.საბა). როგორც ვხედავთ, ყველა ეს ტერმინი უკავშირდება სვანურ ჩწრი/ჩერი-ს და აღნიშნავს თითისტარ-კვირისთავს. როგორც არქეოლოგიური მასალე-ბით აღმოჩნდა, ჯერ კიდევ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მასალებშია ნაპოვნი ხერტალ-კვირისთავები, რაც მოწმობს, რომ ამ პერიოდში ჩვენთან უკვე კარგად იყო განვითარებული ფეიქრობა. ამ არტეფაქტის არქაულობას ენათმეცნიე-რული მასალაც ადასტურებს, თუმცა, იყო დრო, როცა ზოგი მეცნიერი ამ ტერმინს თურქულიდან ნასესხებადაც თვლიდა.

სამშენებლო ლექსიკის დარგობრივად აღწერამაც მრავა-ლი აღუწესსხველი ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა. ერთ-ერი ასეთი სიტყვაა **კელი**. **კელი** მოკლე ფიცარია, რომლის მეშვეობითაც ამოჰყავთ კედლები ფანჯრებს ან კარსა და ფანჯარას შორის. ასევე, კელს იყენებენ სხვა ფიცრის და-საგრძელებლად. „ლოჯის (კუთხე) აყვანისას, თუ ფიცარი სიგრძეში არ ყოფნით, კელს დაამატებენ“. აჭარულში გვაქვს, ასევე, სიტყვა **კელობს**, რაც ნიშნავს: კოჭლობს! ძველ ქართულშიც **კელობა** კოჭლობას აღნიშნავს (ნ. აბულა-ძე). ქართველურ ენათაგან ქართული კოჭლის – მკელობე-ლის –შესატყვისი გვქონია სვანურშიც: მკკლი, იკლი–კოჭ-ლობს (ნ. ფენრიხი, სარჯველაძე). აღსანიშნავია, რომ ეს ფუ-ძე გვქონია ბერძნულშიც (κελιον), რაც „ნაკლულობაზე მიუ-თითებს“ (ნ.გორდეზიანი).

ბერძენი ტომების ისტორიიდან გამომდინარე, მრავალი ბერძნული სიტყვა პარალელს პოულობს ქართველურ ენებში და ქართველურ ენათა მეშვეობით აიხსნება (ნ.გამყრელიძე, ივანოვი). მიგვაჩნია, რომ სწორედ ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა **კელი**, რომელიც აჭარულმა სუბსტანტივის სახით შემოგვი-ნახა. გარდა აჭარულისა, ფუძის სახით იგი ძველ ქართულში და ქართული ენის სხვა დიალექტებში არ დასტურდება. შე-საძლებელია, კელი საერთოქართველური ძირის სიტყვა იყოს!

საზოგადოების კულტურის ისტორიის კვლევაში დიდი ადგილი ეთმობა საქორწინო წეს-ჩვეულებებისა და ნათესაო-ბის სისტემის შესწავლას. ამდენად, სხვა კუთხეთა მასალებ-თან ერთად, საინტერესოა აჭარული ლექსიკური მასალებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებისა და ნათესაობის ინსტიტუტის შესახებ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს, ამ დარგის შესახებ ლექსიკური მასალის დარგობრივად ძიებაში ბევრი ისეთი ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა, რომლებიც არ იყო მეცნიერულ მიმოქცევაში. მაგ. *მისვარესი*, *სინსილა*, „*საცვეთი ბოხჩა*“, „*სისხლში მიცემული ქალი*“, „*გზას სიმღერა ეუთხრათ*“, „*სული გწვა მაყარს*“, „*დავლზე ქამარი გამიწყდა*“ და სხვ. ამ ლექსიკური ერთეულებიდან ყურადღებას მივაპყრობთ ტერმინზე **სინსილა**.

როგორც ვიცით, აჭარულ ყოფაში მემკვიდრის, შვილის სემანტიკა მკვეთრად იყო დიფერენცირებული. შვილი, მემკვიდრე ვაჟი იყო, ქალიშვილი – გოგოშვილი. არსებობს გამოთქმაც: „*შვილი ოჯახის დირეგია, გოგოშვილი – სხვისი ნაცარი*“. თუ ოჯახს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა ან, გოგონებთან ერთად, ერთი ვაჟი, ამბობდნენ „*სინსილა (სიმსილა) შვილი მაყავსო*“. სინსილა ქართულ ენაში ფრინველის ან ქვეწარმავლის წინილაა. ასევე, იხმარება მოდგმის, ჯიშის, ნაშიერის მნიშვნელობით, მაგრამ აქტიურ მეტყველებაში იგი უფრო წყევლის ფორმულებში გვხვდება. აჭარულ დიალექტში კი იგი მოდგმის, ჯიშის გამგრძელებლის ერთადერთობაზე მიუთითებს: „*სინსილა რომაა, იმასაც ერთის მეტს არ მისცემს ღმერთი*“.

ღირსეული შვილების აღზრდა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა საზოგადოებისათვის. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თამაშსა და სათამაშოებს. თამაშობათა თანმხლებია მცირე ზომის გალექსილი ტექსტები, გათვლები, რომლებითაც წესრიგდება მოთამაშეთა ჯგუფებად გაყოფა. ყველასათვისაა ცნობილი გათვლის ასეთი ტექსტი:

„ინილო, ბინილო, შროშანო, გვრიტო,
გადაჯექი, გადმოჯექი, სკამდარიკო.
დაი მუა დასთან, ჩონგური, პასკა,
კუკუ, მეხი, მოიდგი ფეხი“.

ამ ტექსტის ვარიანტების ჩანერისას აღმოჩნდა, რომ „*კუ-კუ, მეხი*“ ტექსტებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება: *კუკუ*, *მეხი*; *კუკურეხი*; *კუდუმეხი*; *კუტუმეხი*. ამ სიტყვის ფორმებზე დაკვირვებამ და ძიებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ სიტყვებიდან სწორი ვარიანტია **კუტუმეხი**, რომელიც ლაზურში აღნიშნავს კუდუსუნს: *კუტუმეხი*, *მოიდგი ფეხი*;

ანუ დაჯექი! ტექსტიც გაიმართა და კიდევ ერთი ზანური ნიმუში გაცოცხლდა. კიდევ ბევრი მსგავსი ლექსიკური ნიმუშის დასახელება შეიძლება.

დიალექტების დარგობრივმა ლექსიკამ, უკლებლივ ყველა დარგში, ინფორმატორთა მეხსიერებაში ბევრი ისეთი ტერმინი თუ მოვლენა შეიძლება გააცოცხლოს, რაც ნათელს მოჰყენს ეთნოსის სულიერი თუ მატერიალური კულტურის ბევრ მიჩქმალულ საკითხს მაგალითად, საქართველოში დიდი ხანია აღარ მოჰყავთ ბრინჯი. მასთან დაკავშირებული სამეურნეო წეს-ჩვეულებებიც ნაკლებადაა ცნობილი, მაგრამ აჭარულმა დიალექტმა, იმერულთან ერთად, აქამდე შემოგვინახა ტერმინი **ბჟირი**, რაც ბრინჯის ფუყე, ცუდ მარცვალს აღნიშნავს. (ნ. ქეგლ; გ. წერეთ. შდრ. ბჟირდება – ტირილისაგან სუნთქვა ეკვრის) დასტურდება მისი ფონეტიკური სახესხვაობებიც: **ბჟიკი, ბჟიტი**.

საქართველო ბევრი ენდემური ჯიშის მარცვლეულის სამშობლოა; დასავლეთ საქართველოში (და აჭარაშიც!), დიდი ხანია აღარ მოჰყავთ ხორბალი, აღარც მის ჯიშთა სახელებს აქვთ მეტყველებაში გამოყენება. ისინი უკვე უფრო სპეციალური ლიტერატურის საკუთრებაა, მაგრამ აჭარულის ხალხური მკურნალობის ლექსიკაში გვაქვს ტერმინი **დიკა**, რაც ინფექციური დაავადების **ნითურას** ფარდ სახელად ქცეულა **ნითურას** მახასიათებელი სიმპტომების გამო – ავადმყოფობას, დიკას თავთავივით, მოწითალო შეფერილობა და უხვი, წვრილი გამონაყარი აქვს.

როგორც ვხედავთ, ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა ეთნოსისა თუ ეთნიკური ჯგუფის სოციალური მდგომარეობის ამსახველი დარგობრივი ლექსიკის მასალები: ცალკეული ლექსემები, შესიტყვებები თუ ხატოვანი თქმები. უამრავი ასეთი ლექსიკური ერთეულის დასახელება შეიძლება, რომლებიც, გარდა იმისა, რომ ლინგვისტურადაა საინტერესო, ასევე, საინტერესოა ეთნოლოგთა, ისტორიკოსთა თუ ქართული ეთნოსის კულტურის შემსწავლელი სხვა დარგებისთვისაც. ყველა მეცნიერი, ვინც დარგობრივი ლექსიკის კუთვნილ რომელიმე ტერმინს, გამოთქმას იძიებს არა მარტო რაიმე მოვლენასთან მიმართებაში, არამედ ისტორიულ ჭრილში, ასევე, როცა იძიებენ სიტყვა-ტერ-

მინთა ძირებს, იკვლევენ იმ ეპოქებს, რომლებშიც ეს ძირებია ცნობილი. ამით კი გვაახლოებენ ეთნოსის ისტორიის, ეთნოსის ენის, კულტურის უცნობ ან ნაკლებად ცნობილ ფაქტებთან.

დიდი პოლიტიკურ-ეკონომიური, სოციალურ-კულტურული ცვლილებების ეპოქაში ვცხოვრობთ; ეს ცვლილებები აისახება ენაშიც, განსაკუთრებით კი მის ლექსიკაში. ლექსიკიდან კი „სწორედ ის ნაწილია... ცვალებადი, რომელიც საზოგადოების კულტურას ასახავს“ (ნ.ნებიერიძე). ბევრი სიტყვა თუ გამოთქმა „ხელიდან გვეცლება“ და ისტორიის საკუთრება ხდება, ან, საერთოდ, იკარგება. აჭარულ დიალექტში, როცა რაიმე ან ვინმე ძალიან მოსაფრთხილებელია, ამბობენ, „ცალი თვალითაა საყურებელი“. სწორედ საყურადღებო, მოსაფრთხილებელი, „ცალი თვალითაა საყურებელი“ არა მარტო აჭარულის, არამედ ქართული ენის ყველა დიალექტის – ყველა ეთნიკური ჯგუფის, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი დარგობრივი ლექსიკის მასალები, რომელთაც ასე დიდ შეფასებას აძლევდნენ ჩვენი სახელოვანი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები. ასეთი მასალა, თუ არ აღინუსხა, თანდათან დავიწყების ბურუსით დაიფარება და დიალექტებით ნასაზრდოები ჩვენი მშობლიური ენაც გაღარიბდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე ი., ძველიქართული ენის ლექსიკონი.თბ., 1973.
2. გორდეზიანი რ., წინარებერძნული და ქართველური. თბ.,1985.
3. ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
4. ნოლაიდელი ნ., ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.
5. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1926.
6. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
7. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), I-VIII, თბ., 1950-64.

8. წერეთელი ბ., ზემოიმერული ლექსიკონი, – ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ტფ., 1938.
9. ჭინჭარაული ალ., ქართველურ ენათა ლექსიკიდან.–ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987.
10. Гамкрелидзе Т., Иванов В., Индоевропейский язык и Индоевропейцы, I,II, Тб., 1984.

Nanuli Noghaideli

Ethnolinguistic aspects of sectoral vocabulary
(According to the materials of vocabulary of Ajarian Dialect)
Summary

The political and economic, socio-cultural changes in society are reflected in the language, especially in its vocabulary. In the article, the ethnolinguistic issues of the sectoral vocabulary are discussed on the basis of the sectoral vocabulary of Ajarian Dialect.

თამილა ლომთათიძე

ხის თაყვანისცემის ელემენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურაში

ხის კულტი ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე-სიმბოლოა და მას მრავალი გადმოცემა, წეს-ჩვეულება და რიტუალი უკავშირდება. ხეთა თაყვანისცემა, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალი ხალხის, ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც უკავშირდება სიცოცხლის ხის არქეტიპს, რომელიც გააზრებული იყო, როგორც სამყაროს ცენტრში ამოზრდილი, სამი სკნელის (სკნელი, ზესკნელი, ქვესკნელი) დამაკავშირებელი ვერტიკალური ღერძი, რომელიც „მინაში ღრმად გადგმული ფესვებით და ცისკენ ზეაღმართული ტოტებით სწორედ ზესწრაფვას და „სამყაროს“ აერთიანებდა“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2007:152). ქართულ ეთნოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ხე კულტმსახურების ობიექტად იქცა იმიტომაც, რომ იგი წარმოადგენს სამყაროს ზუსტი რეპროდუქციის გამოხატველ კოსმოგონიურ სიმბოლოს და მას აქვს გარკვეული საკრალური ფუნქცია – სამყაროს პერიოდული რეგენერაციის პოტენცია (ჯავახიშვილი, 1960:93-96). ხის ამგვარმა სიმბოლურმა გააზრებამ წარმოშვა მასათან დაკავშირებული მრავალგვარი რწმენა-წარმოდგენა და რიტუალი, რომლებიც ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში გამოხატულია როგორც ცალკეული ხეების თაყვანისცემის, წმინდა ტყეებისა და კორომების არსებობის, ასევე, მოჭრილ ხესთან და მის ცალკეულ ნაწილებთან დაკავშირებული არქაული წეს-ჩვეულებების სახით.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ყოფაში სხვადასხვა ჯიშის ხეს ჰქონდა მინიჭებული სიმბოლური მნიშვნელობა. გაფეტიშებული იყო უფრო მეტად მარადმწვანე, ნაყოფიერი ან გამძლე ჯიშის ხეები, რომლებიც უკვდავების, ჯანმრთელობის, კეთილდღეობის, ნაყოფიერების სიმბოლოებად აღიქმებოდა და ბუნების სიცოცხლის მარადიულობას განასახიერებდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ჯიშის ხეს ენიჭებოდა საკრალური მნიშვნელობა. მაგალითად,

იმერეთში – კოპიტს, სამეგრელოსა და სვანეთში – მუხას, ხევსურეთში – მეგრელაურის მირონიან მუხას, ფშაურ ოქროსშიბიან ბერმუხას, მცხეთის სვეტიცხოველს, მარტვილის ჭყონდიდს და სხვ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, გადმოცემებითა და წერილობითი წყაროებითაც დასტურდება, რომ საქართველოში არსებობდა არა მხოლოდ გაფეტიშებული ხეები, არამედ ე.წ. წმინდა ჭალები, ანუ ნაკრძალი ხატის ტყეები. მოგვიანებით ასეთი ტყეების შუაგულში აგებდნენ ეკლესიებს. ეკლესიის გარშემო არსებული ტყე წმინდად ითვლებოდა და იკრძალებოდა იქიდან შეწირული ნივთების (სანთელი, ბამბის ძაფები, თეთრი ნაჭერი, საქონლის რქები) აღება და სხვა ადგილას გადატანა. დამნაშავე სასტიკად ისჯებოდა (რუხაძე, ლეკიაშვილი, ჭყონია, 1964:129). კავკასიის ზოგიერთი ხალხის ყოფაში XIX საუკუნემდე იყო შემორჩენილი ნაკრძალი ადგილები, რომლებიც წმინდად ითვლებოდა და რომლებშიც აკრძალული იყო არათუ ხის მოჭრა, არამედ ტოტების მოტეხა, უცხო პირთა შესვლა და სხვ. ხალხის რწმენით, ამ ნაკრძალების მცენარეები სამკურნალო და მაგიური თვისებებით ხასიათდებოდა. ასე, რომ ხის საკრალიზება, წმინდა კორომებისა და ტყეების არსებობა საერთოკავკასიური მოვლენაა. ხეების თაყვანისცემას და წმინდა ჭალების არსებობის ტრადიციას საფუძვლად უნდა დადებოდა წარმოდგენები ხის, როგორც ცოცხალი არსების შესახებ, რომელიც განასახიერებდა რომელიმე ღვთაებას ან მის საუფლოს (ღუდუშაური, 2000:85). ასეთი წმინდა ტყე ყოფილა ქობულეთში, სოფ. ხუცუბანში, თეთროსნის წმინდა გიორგის სატაძრო კომპლექსის ადგილას. ამ ტყის არსებობა დაუფიქსირებიათ 1944 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეებს. გათხრებმა დაადასტურა აქ წარმართობისდრინდელი სალოცავის არსებობა. ადგილობრივთა ცნობებით, აქ 1940 წლამდე არსებულა წმინდა ტყე, რომელსაც ამავე სოფლის მკვიდრი ოსმან ესელიძე უწელიდა. მისი გადმოცემით აქ, „ხის მოჭრა კი არა, ბუნებრივად წაქცეული ხის ან მისი ტოტის გატანაც კი არ შეიძლებოდა“ (იოსელიანი, 1973:52-53). მოგვიანებით ეს ტყეც ტაძრის საკუთრება გამხდარა. ადგილობრივთა ცნობით, ტყის ფართობი 30 ჰექტარს აღემატებოდა. თეთროსანი ეწოდებოდა არა მხოლოდ სალო-

ცავს, არამედ მის ირგვლივ არსებულ საკმაოდ დიდ ტერიტორიას (სურმანიძე, 2007:14). ასეთი საკულტო ტყეები ყოფილა სოფელ სამებაში, თეთრულას ნასაყდრალზე, სოფელ ქობულეთში – ინაიშვილების ნასაყდრალზე, სოფელ ჭახათში – ნოლაიდლების ნასაყდრალზე, სოფელ კოხში – ხუტაძის ნასაყდრალზე. ასეთი საკულტო ტყეებიდან არა მხოლოდ იკრძალებოდა რაიმეს გატანა პირადი მოხმარებისათვის, არამედ ხშირად ასეთ ადგილებში შესანიშნავებიც კი მოჰქონდათ. ქობულეთში ასეთ ნასაყდრალებთან არსებულ ტყეებში ხშირად არის „ნაბრალევის ქვა“. ეს არის მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის, საგანგებოდ დამუშავებული ქვა, რომელზეც აწყობდნენ „თავზე შემონარებს“//“ნაბრალევს“ ანუ შესანიშნავს: ნამცხვარი, ქათამი, ფული, სანთლის ნაჭრები, ფერადი ძაფები. საუკეთესო შესანიშნავად ითვლებოდა თეთრი მამალი და, ზოგჯერ, ლითონის ნივთებიც (ნემსი, ლურსმანი, წალდი და ა.შ.) (ქათამაძე, 1960:55-56), რაც შესანიშნავს წარმართულ ხასიათს აძლევს. თუმცა, დანიშნულებით, „ნაბრალევის ქვა“ ძალიან წააგავს მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა ტრაპეზს – საკურთხეველის მაგიდას, რომელიც განასახიერებს ღმერთის ტახტს, რომელზედაც იესო ქრისტე უხილავადაა დაბრძანებული, ასევე – მის საფლავს. ტრაპეზი საკურთხეველის შუა ადგილზე, შესაფერისი სამოსლითაა შემკობილი. მასზედ სრულდება წმ.ძღვნის შეწირვის საიდუმლო. საკურთხეველის სიმბოლური მნიშვნელობა უკავშირდება „ნაკურთხ ქვას“, რომელიც, საკურთხეველის ცენტრშია განთავსებული და ქრისტე-ქვაკურთხედის სიმბოლოა (კორ.10:4; ებ.13:10). საუკუნეთა მანძილზე საკურთხეველმა სხვადასხვა ფორმა მიიღო (მაგიდის, სკივრის, ლოდის, სარკოფაგის) და კიდევ მეტი მნიშვნელობა შეიძინა. შესაძლოა „ნაბრალევის ქვა“ ამ წმ.ტყეებში არსებული ეკლესიების საკურთხეველის ქვა იყო, რამაც გამოიწვია მისდამი განსაკუთრებული მოწინება და მასზე მსხვერპლის დაწყობის ჩვეულების შემორჩენა ქობულეთის სულიერ კულტურაში. ამ მოსაზრებას ამყარებს ქობულეთში გავრცელებული „ბრალის შელოცვა“. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ.აჭყვისთავში არის ქამჭარაძეების ნასაყდრალი, სადაც „გადაცემული“, დაწყევლილი ოჯახის, ან ავადმყოფის პატრონს მიაქვს შესა-

წირავი: ფული, უხმარი ნაჭერი, მამალი, სამი კაკალი კვერ-
ცხი, უხმარი ნემსი, ღომის ტაბლა, სამი ცალი ლურსმანი.
ნივთებს ნასაყდრალზე ტოვებს, მამალსაც გაუშვებს და თან
შეულოცავს:

ნაბრალევი იყოს,
ნაწყევარი იყოს,
ძველთაგან, ახლისგან,
შემინირავს თქვენთვის:
ფარა, სანთელი,
პაპლუყი და ტაბლა ღომი,
სამი ლურსმანი, სამი კვერცხი,
ლემსი ერთი, ვერცხლის ფარა,
შემინირავს თქვენთვის საყდარში.
ღმერთო, არგე და მოახმარე!

(ჩაწერილია ჯ.ნოღაიდელის მიერ 1960 წელს, მთქმელი
თ.რ.მენაბდე, სოფ.აჭყვისთავი)

წმინდა ხეების და ტყეების დაკავშირება ქრისტიანულ
სალოცავებთან არ უნდა მომხდარიყო შემთხვევით. ხის საკ-
რალიზაციის ელემენტები არც ქრისტიანობისათვისაა უც-
ხო. პირველი ადამიანების ცოდვით დაცემა და სამოთხიდან
გამოდევნა ძველი აღთქმის სამოთხისეულ ცხოვრებისა და
ცნობადის ხეს უკავშირდება, რომლის ნაყოფიც იგემეს ადამ
და ევამ და ძელი ცხოველიც, ანუ ჯვარი, რომელზე ჯვარ-
ცმითაც კაცობრიობა ცოდვისაგან იხსნა მესიამ – იესო
ქრისტემ, იმ ხისგან იყო გამოთლილი, რომელიც ძველი აღ-
თქმის მამამთავრის აბრაამის ძმისწულმა – მართალმა ლოთ-
მა გაახარა ღვთისაგან ბოძებული საროს, ფიჭვისა და ნაძვის
ტოტებისგან. ამგვარად, კაცობრიობის დაცემა და ხსნაც,
ქრისტიანული სწავლებით, ხეს უკავშირდება. ქართველთა
უძველესი სალოცავებიც – სვეტიცხოველი და მცხეთის
ჯვარი – მოჭრილი წმიდა ხეებისგან გამოთლილ სვეტსა თუ
ჯვარზე აიგო. საქართველოს მთიანეთშიც სალოცავებში ხის
დარგვა და მისი მოვლა-გახარება უფრო მნიშვნელოვან სა-
კულტო რიტუალად იყო მიჩნეული, ვიდრე ცხოველის შეწირ-
ვა. „ასეთ წმინდა ხეებს „ხემხვივანები“ ეწოდებოდა. ხემხვი-
ვანი ანუ ნაყოფიერების ხე სიცოცხლის მომნიჭებელი მითო-

ლოგიური ხის სიმბოლოა და ამიტომაც რგავდნენ ხატის კარზე“ (სურგულაძე 1986:13).

ხის საკრალიზებისა და კოსმოგონიურ ასპექტში გააზრების ტრადიციასთან უნდა გვექონდეს საქმე “ცხემლის ჭრის“ რიტუალში, რომელიც აჭარაში საახალწლო დღესასწაულების ციკლში ექცევა. ეს ციკლი ახალი წლის წინა დღეს იწყებოდა „ცხემლის ჭრის“ რიტუალით. რიტუალი შემდეგნაირად სრულდებოდა: “ოჯახის უფროსი მამაკაცი ურმით მიდის ტყეში, შეარჩევს ხმირტოტებიან ცხემლას, მოჭრის, ტოტებს შეაჭრის, ტანს მორებად დაჭრის, დააწყობს ურემზე და მიიტანს სახლში. ამ მორებს ანაწილებს შემდეგნაირად: შეშისათვის, ცეცხლზე მოსაწყობად, დააპობს რამდენიმეს და ერთმანეთზე გარდიგარდმო დააწყობს. რამდენიმე მორს დააწყობს კარიასთან (საქათმესთან), რათა ქათმებმა ზედ გადაიარონ. ცხემლის რამდენიმე ტოტს დაალაგებენ კარის წინ, სადაც ოჯახის წევრები გაივლიან და ტოტებზე გადაივლიან. ახალ წელს დილით, ოჯახის დიასახლისი რომ ადგება და ცეცხლს დაანთებს, პირველად ცხემლის შეშას შეუწყობს ცეცხლს“ (ნოღაიდელი, 1971:121).

“ცხემლის ჭრის“ სახელით იყო ასეთივე დღესასწაული გურიაშიც. ამ დღეს ოჯახის უფროსი დილით მოჭრიდა ცხემლის ხეს, დააპობდა და ზედ დააკლავდა ორ მამლუჩას. მის სისხლს კერიაში ჩააქცევდა ლოცვით: “ბევრი მოსავალი, კაი წელიწადი და სიმთელე დაგვიბედეო“ (რუხაძე, 1976:56). ახალი წლის დილით ოჯახის უფროსს შემოჰქონდა ცხემლის შეშა და ოჯახის კერას მიულოცავდა (ჭანჭალეიშვილი, 1988:80). იმერეთშიც, ახალი წლის წინ, “შემოლოცვის“ დღეს ოჯახის უფროსი კაცი “კოპიტის ჭოგრებითა“ და “ლურჯი ჭყორით“ დატვირთული ურმით ეზოში შემოვიდოდა და იტყოდა, “ურემივით დამძიმებული, დატვირთული წელიწადი იყოს ამ ოჯახისთვისო“. იმ ღამეს “ჭოგრებს“ დაჭრიდა, ზოგს გარეთ დატოვებდა და ზოგისაგან კარგ ცეცხლს დაანთებდა. კოპიტის “ჭოგრებთან“ ერთად, კერაზე კოპიტის ჯირკვიც იყო მოთავსებული. “კერის თავს“ სწორედ ეს ჯირკვი წარმოადგენდა (რუხაძე, 1976:97). აუცილებელი იყო ახალი წლის წინა დღით ერთი მარხილი შეშის მოტანა რაჭაშიც. ამავე მარხილზე დებდნენ ჩიჩილაკს, “ნეკერს“ (თხილის ბი-

ბილო) და “თომს“ (ფეხის თივა), რომლებიც დილამდე მარხილზე ეწყო, ხოლო მამლის ყივილისას მეკვლე დგებოდა და ისინი სახლში შეჰქონდა (მაკალათია, 1930:58).

“ცხემლის ჭრა“ უნდა იყოს ტრანსფორმირებული, უფრო გვიანდელი ფორმა ხის თაყვანისცემისა. ვ.პროპის თანახმად, ხეთა თაყვანისცემა ორი სახისაა: ცოცხალი ხის და მოჭრილი ხის. თავდაპირველად, თაყვანისცემის საგანი უნდა ყოფილიყო თავად ცოცხალი ხე, მოგვიანებით კი, ტრანსფორმაციის შედეგად, ეს რწმენა-წარმოდგენები გადატანილი უნდა ყოფილიყო ხის ატრიბუტიკაზე – ტოტემზე, მორებზე და ა.შ. ამგვარად, “ცხემლის ჭრის“ ტრადიცია ხის თაყვანისცემის უძველესი რწმენის ნიშნებს ატარებს. ახალი წლის ღამეს სხვადასხვა ჯიშის ხეების დანვის რიტუალში მრავალი იდეა და რწმენა იყრის თავს, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი ნაყოფიერების მაგიის გამოხატულება უნდა იყოს. საერთოდ, ქართულ ეთნოგრაფიაში საახალწლო მორი მიჩნეულია მამრობითობის განმასახიერებელ ძალად, ხოლო მუგუზალთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები – სქესობრივი აქტის სქემატურ გამოხატულებად, რაც საბოლოო ჯამში ნაყოფიერებასა და სიუხვის უზრუნველყოფას უკავშირდება (ბარდაველიძე, 1953:134). საფიქრებელია, რომ “ცხემლის ჭრის“ რიტუალშიც ცხემლის მორს გამანაყოფიერებელი უნარი მიეწერება და ამიტომაცაა აუცილებელი ახალი წლის დილით საქონელ-ფრინველისა და ოჯახის ყველა წევრისათვის რცხილის ტოტემზე გადავლა, რასაც საბოლოო ჯამში უნდა გამოეწვია ბუნების ძალთა აღორძინება, ნაყოფიერება და უხვმოსავლიანობა, ადამიანების ჯანიერება და საქონელ-ფრინველის სიმრავლე (ბარდაველიძე, 1941:58).

“ცხემლის ჭრის“ რიტულს დიდი აზრობრივი და ფუნქციონალური მსგავსება აქვს ამავე მიზნით საახალწლო რიტუალში რაჭა-ლეჩხუმში გამოყენებულ ხის მოწნულ გვირგვინთან – გვერგვთან და გურიაში არსებულ ჩიჩილაკთან.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ახალი წლის რიტუალში იმავე დანიშნულებით, როგორც ქობულეთში რცხილის მორი, ხშირად დომინირებს არა ხის კუნძი, არამედ სხვადასხვა სახის ხისაგან მოწნული გვირგვინი, მაგალითად, ლეჩხუმში საახალწლო რიტუალში გამოიყენება ხის ლერწი-

საგან მოწნული გვერგვი. აზრობრივი დატვირთვით, საახალწლო გვერგვი დიდ მსგავსებას ავლენს ქობულეთსა და გურიაში საახალწლო რიტუალში გამოყენებულ ცხემლის კუნძთან. აქაც ოჯახის ყველა წევრისათვის აუცილებელი იყო საახალწლო გვერგვზე ხელის შეხება, მისით ოჯახის მიკვლევა, კერის გარშემო შემოტარება, კალოზე გატანა, საფუარზე მოთავსება. როგორც ჩანს, გვერგვი წმინდათანწმინდაა და ზრდისა და ნაყოფიერების ძალის შემცველ ობიექტად ისახება და საახალწლო რიტუალში მონაწილეობს, როგორც ბარაქის მიმნიჭებელი და მარცვლეულის ამალორძინებელი ძალის შემცველი საკრალური ატრიბუტი (ბარდაველიძე, 1941:70). ამავე რიგის რიტუალს უნდა განეკუთვნებოდეს სვანეთში ყანის ნაყოფიერების გადიდების მიზნით მაისის თვეში, “ამალღება” დღეს ყანებსა და სათიბებში არყის შეფოთილი ტოტებისაგან დაწნული გვირვინების დამაგრების ჩვეულება (ონიანი, 1969:67).

„ცხემლის ჭრასთან“ დიდ აზრობრივ მსგავსებას ავლენს გურიაში გავრცელებული “კალპიანი ჩიჩილაკი”. ჩიჩილაკთანაც ისეთივე ქმედებებია დაკავშირებული, როგორც რაჭულ-ლენხუმურ გვერგვთან. ფართოდ გამოიყენებოდა საახალწლო ჩიჩილაკი აჭარაშიც, კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში. აქაც სცოდნიათ თხილის ან ლუკუმხის სწორი ტოტებისაგან საახალწლოდ ჩიჩილაკის დამზადება (ნოლაი-დელი, 1971:122).

საერთოდ, ეთნოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ჩიჩილაკის სახით განსახიერებელია ქართველების უძველესი შეხედულება სიცოცხლის ხის შესახებ. სწორედ ამიტომ, ჩიჩილაკი, როგორც ხვავრიელებისა და სიცოცხლის სიმბოლო, მზადდებოდა წლის განახლების დღესასწაულზე (სურგულაძე, 1974:56). მცენარეული კულტების რწმენა ჩანს სვანეთში გავრცელებულ “ცხემლის ჭრის” მსგავს ჩვეულებებში: ახალი წლის წინა დღეს ჭრიდნენ დაახლოებით არშინის სიგრძის არყის ხეებს, დააპობდნენ, ამ ნაპობებს, რომლებსაც “ნათე”-ს ეძახდნენ, კარს მიაყუდებდნენ. ახალი წლის მეორე დღეს ოჯახში ყველა მომსვლელს ერთი ნათე უნდა შეეტანა შინ და კერაზე მიეყუდებინა. შემდეგ ამ ნათეებს სხვენში აწყობდნენ და ახმობდნენ. მათგან შემდგომ, ლამპრობის დროს ამ-

ზადებდნენ ლამპრებს (ნიჟარაძე, 1962:565). ამგვარად, ქართველები სხვადასხვა ჯიშის ხეებს სცემდნენ თაყვანს. აჭარაში ასეთ სარიტუალო მცენარედ რცხილა (ცხემლა) ითვლებოდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, აჭარაში კაცს, რომელსაც ეზოში ცხემლა არ ერგო, ქალს არ მიათხოვებდნენ (ვარშალომიძე, 1979:15).

ხის სულიერ არსებად წარმოდგენისა და მისდამი გარკვეული მოკრძალების კვალი მრავლადაა შემონახული აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ხის მოჭრასთან, სახლის მშენებლობასა და ხეზე კვეთილობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში. გავრცელებული იყო სამშენებლო და სარეწაოდ განკუთვნილი ხის გარკვეული ჯიშების ტაბუირების ჩვეულება. იბრძნიდნენ სამშენებლოდ ურთხმელის (წითელი ხე) და ალვის ხის გამოყენებას (ვარშალომიძე, 1979:13). გარკვეული სახის აკრძალები მოქმედებდა საშემედ განკუთვნილი ხის ჯიშების მიმართაც. ლელვს აჭარაში არ დაწვავდნენ — ცოდვიანი ხეა და ოჯახს “დააცოდვილებსო” ან “სანამ კერაზე ლელვის ხის ნაცარია, ავადმყოფობა არ გამოიღევო” — ამბობენ. თხემლას არ დაწვავდნენ — ლეხტის ხეა და მისი დაწვა ცოდვააო და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხესთან დაკავშირებული მსგავსი აკრძალები მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ყოფაშია დაფიქსირებული. მეცნიერთა ნაწილი (ტიელორი, მანჰხარდტი, ფრეზერი) ხესთან დაკავშირებულ აკრძალებს ანიმიზმის საფუძველზე აღმოცენებულად მიიჩნევს, ნაწილი კი (ზელენინი, შტერნი, პროპი) ხესთან დაკავშირებულ ყველა რწმენა-წარმოდგენასა და წეს-ჩვეულებას “მცენარეული ტოტემიზმის” საფუძველზე ხსნის. აჭარული ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს, რომ ხესთან დაკავშირებული აკრძალებების ნაწილი მართლაც ტოტემისტური ხასიათისაა. თავდაპირველად ტაბუაცია უნდა გავრცელებულიყო ხე-ტოტემზე ზოგადად, შემდეგ კი იგი შემოიფარგლა გარკვეული ჯიშის ხეზე ტაბუს დადებით. ანიმისტური მსოფმხედველობის განვითარების შემდგომ ხე ადამიანების მიერ აღიქმებოდა, როგორც ცოცხალი არსება, გერმანელი ტყისმჭრელები ხეს მოჭრამდე ებოდიშებოდნენ და მიმართავდნენ მას “ბატონობით”. პოლონელები მიიჩნევენ, რომ ხეს მოჭრისას

ცრემლები სდის; აღმოსავლეთ სლავებში გაბატონებული რწმენით იან კუპალას ღამეს ხეები მოძრაობენ და ლაპარაკობენ (Зеленин 1936:21-22). ანიმისტურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ხის ტაბუაციის ჩვევები აჭარაშიცაა დაფიქსირებული. ხის მოსაჭრელად წასვლისას ცულს ქსოვილში ახვევდნენ, რადგან ხალხური რწმენით ხეები შიშველი ცულის დანახვაზე თითქოს კანკალს იწყებენ და ტირიან. აკრძალული იყო ხის უმიზნოდ დასერვა ცულით, წალდით, რასაც ხის ქერქიდან წვენი გამოყოფა მოსდევს, ამას ხალხი “ხის ცრემლებს”, “ხის ტირილს” უწოდებს (ვარშალომიძე, 1986:109-110). როცა ხეხილი წლების განმავლობაში არ იძლეოდა ნაყოფს, ხესთან მთელი დრამა თამაშდებოდა: ორი მამაკაცი ცულით მიუახლოვდებოდა ხეს. ერთ-ერთი მოჭრით ემუქრებოდა და ცულს უღერებდა, მეორე კი, თითქოს, ხელს უშლიდა ცულის დაკვრაში და ხის ნაცვლად იძლეოდა პირობას, რომ მომავალ წელს აუცილებლად მოისხამდა ნაყოფს. სწამდათ, რომ ასე ხეს „შეეშინებოდა“ და კვლავ მსხმოიარე გახდებოდა. აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ხე მსხვერპლშენიშვნის რიტუალის ნაწილიც იყო: მსხვერპლადშენიშნული პირუტყვის სისხლს ან „ჩიტის ხისედ“//ჩიტის წილად დამზადებულ ფაფას ხეზე წაუსვამდნენ, რომ მისი ნაყოფიერება გაეძლიერებინათ.

გარკვეული ჯიშის ხეები ხალხურ მედიცინაშიც გამოიყენებოდა, როგორც განსაკუთრებული სამკურნალო ძალის მქონე მცენარეები: კოკოციან//კონიწიან (ყივანახველიან) ბავშვს კაკლის ხის ფესვში გააძვრენდნენ; გოფოიან (რახიტიან) ბავშვს ბჟოლის (თუთის) ხის კიდობანში ჩაანვენდნენ განსაკუთრებლად და სხვ.

ამგვარად, აჭარაში გავრცელებულ მრავალ წეს-ჩვეულებაში იკვეთება ხის საკრალიზაციისა და თაყვანისცემის კვალი, რაც ასახავს ქართველთა უძველეს შეხედულებებს ხის, როგორც სიცოცხლის, ნაყოფიერების, განახლების, კეთილდღეობის ძალის მქონე ერთ-ერთ უმთავრესი არქეტიპის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ.აბზიანიძე, ქ.ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. II, თბ., 2007.
2. ვ.ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941
3. ვ.ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიშნები, თბ., 1953
4. ჯ.ვარშალომიძე, ორნამენტი ხეზე, ბათუმი, 1979
5. ა.იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973
6. ს.მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1930
7. ბ.ნიჭარაძე (თავისუფალი სვანი), ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962
8. ჯ.ნოღაიძელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, თბ., 1971
9. ჯ.ონიანი, სვანური მურყვამობა-კვირიაობა, მაცნე, თბ., 1969
10. ჯ.რუხაძე, ა.ლექიაშვილი, ი.ჭყონია, სოფელი აკურა, თბ., 1964
11. ჯ.რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976
12. ი.სურგულაძე, ქართული საახალწლო ჩიჩილაკი, ძეგლის მეგობარი, N36, თბ., 1974
13. ი.სურგულაძე, ხალხური ორნამენტიკის სიმბოლიკა. თბ., თბ., 1986
14. რ.სურმანიძე, თეთროსანი, ბათუმი, 2007
15. ა.ქათამაძე, კინტრიშის ხეობა (ექსპედიციის მასალები), აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ.IV, ბათუმი, 1960
16. თ.ღუდუშაური, ხის საკრალიზაციის ზოგიერთი ასპექტი კავკასიის ხალხებში, ქრისტიანობა – წარსული, აწმყო, მომავალი (მოსხენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 2000

17. ლ.ჭანჭალეიშვილი, კალანდობა გურიაში (ახალი წლის წინა და პირველი დღე), ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 1988
18. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ.I, თბ., 1960
19. Зеленин Д.К., Тотемы-деревья в сказаниях и обрядах Европейских народов, М-Л., 1936

Tamila Lomtadze

The elements of wood worshio in the ethno culture of South-western Georgia

Summary

The tree cult is one of the most common faces in Georgian beliefs and performances, and it is associated with many concepts and rituals. Wood worship, as well as in the ethnographical life of many people of the world, is associated with the wooden archetype. These are the issues discussed in the presented work.

*ნონა ქარციძე
ირინა უგრეხელიძე*

**უძველესი ნაქარგოვები საქტიტორო ნარწერით
ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან**

ქუთაისის ისტორიული მუზეუმი გარდასულ საუკუნეთა უიშვიათესი მასალებისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი ძეგლების უმდიდრესი საცავია. აქ დაუნჯებული ქრისტიანული ხელოვნების მასალებიდან არც თუ მცირე ადგილი უჭირავს მხატვრული ნაქარგობის, კერძოდ ოქროქარგულობის ნიმუშებს. ისინი მხოლოდ ქრისტიანული ხელოვნებისა და ღვთისმსახურების კუთხით როდია საინტერესო, არამედ გვანვდიან საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ამა თუ იმ ეპოქის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიკური წარსულიდან. ჩვენამდე მოღწეული ნაქარგობის არაერთი ძეგლი შეიცავს ეპიგრაფიკულ მასალებს – წარწერებს, რომლებშიც ვხვდებით ცნობილი ისტორიული პირების: მეფეების, დედოფლების, ერისთავების, მთავრების, კათოლიკოს-პატრიარქების, ეპისკოპოსების სახელებს, რომელთა განკარგულებითა და საფასით შეიქმნა ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები. წარწერებში მკაფიოადაა ხაზგასმული ქტიტორთა, ანუ დამკვეთთა ღვანლი და დამსახურება, მათი საბრძოლო თუ პოლიტიკური წარმატებები. არაერთმა ძეგლმა შემოგვინახა მათი შემქმნელი ოსტატის სახელიც. აღნიშნული ეპიგრაფიკული მასალების, მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული საბუთების, ქუთაისის ცენტრალურ არქივის დოკუმენტებისა და სხვა მრავალი წყაროს კვლევის და მათი შედარება-მეჯერების საშუალებით მოგვეცა შესაძლებლობა დაგვედგინა და დაგვეზუსტებინა ნაქარგი ძეგლების დამზადების თარიღი, წარმომავლობა, ქტიტორთა ვინაობა, შეწირვის მიზანი და სხვ.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული მასალებიდან უძველესს განეკუთვნება ოქროქარგულობით შემკული **ოლარი (№ 6630)**, რომელიც შემოსულია 1923 წ. გელათის მონასტრიდან (სურ. 1). ოლარის საზედაპირე მასალად გამოყენებულია მუქი ჩალისფერი ტილოს ქსოვილი, სასარჩუ-

ლედ ჟოლოსფერი ყანაოზი, ნაქარგობისათვის ოქროს და ვერცხლის თმა, ქარგვის ტექნიკა – ნამაგრი სითვი. ოლარს აქვს ასომთავრული საექტიტორო წარწერა.

ნივთი თავისი არაკანონიკური ფორმით იპყრობს ყურადღებას – ოლარის საყოველთაოდ მიღებული კისერზე ჩამოსა-



ა



ბ



ბ



დ

დები გრძელი, ორკალთიანი, წინსაფრისებური ფორმის ნაცვლად ის მთლიანად აჭრილია, სიგრძით წელამდეც არ წვდება; მეორე განმასხვავებელი ნიშანი ზურგზე დაშვებული უკანა ნახევარია.

ნივთის ზედაპირი მთლიანად მოქარგულია ოქროსა და ვერცხლის თმით შესრულებული ნამაგრი სითვით, რომლის ნაყში ე.წ. „თევზიფხურას“ – ტეხილი, ზიგზაგური გვირისტების ერთობლიობას წარმოადგენს. ასეთი სითვი ერთი შეხედვით ნაჭედის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესრულების ტექნიკა დახვეწილია,

გამოირჩევა დიდი რუდუნებითა და უზადო ხელწერით.

ოლარის ნაქარგობა არ გამოირჩევა რთული კომპოზიციით, მასზე, კანონიკური წესის თანახმად მიღებული, ექვსი

ჯვრის (ჩვეულებრივ 3-3 თითოეულ კალთაზე) ნაცვლად ხუთია გამოსახული. წინა და უკანა მხარეს ამოქარგულია კომპოზიცია „ძლევის ჯვარი“ – კვარცხლბეკზე აღმართული გოლგოთის ჯვარი და ვნების იარაღები: ჯვარის ერთ მხარეს ლახვარი, მეორე მხარეს – ლერწამზე დამაგრებული ღრუბელი; ჯვრის ორსავე მხარეს სამსჭვალი. ჯვრის მარჯვნივ კიბეა გამოსახული, ხოლო გოლგოთაზე აღმართული ჯვრის ქვეშ ადამის თავია (ტრადიციულად გავრცელებული ადამის თავის ქალის ნაცვლად). თავად ჯვარი მრავალჯვარის სახითაა წარმოდგენილი – მის ჰორიზონტალურ მკლავებსა და წვერზე 3-3 ჯვარია გამოსახული. ჯვართან დაქარაგმებულია ბერძნული გრაფემები (Ϟ, ϟ – „იესუ ქრისტე“ და Ϟ, ϟ).

ოლარის კალთის ბოლოში ასომთავრული დაქარაგმებული საექტიტორო წარწერაა ამოქარგული: „წ: ქ[რისტ]ე: ღ[მერთ]ო: შ[ეიწყალ]ე ყ[ოვლის]ა აფხ[ა]ზეთისა: კ[ათოლიკო]ზი ეფთჳმე: ა[მი]ნ“.

წარწერა მართალია უთარილოა, მაგრამ ქტიტორი-შემწირველის – აფხაზეთის კათოლიკოსის ეფთჳიმეს ვინაობის დაზუსტებისა და მოღვაწეობის წლების მიხედვით შესაძლებელია ოლარის დამზადების პერიოდის დადგენა.

ეფთჳმეს სახელით, ისტორიულად, დასავლეთ საქართველოს ორი კათალიკოს-პატრიარქია (ეფთჳიმე I და ეფთჳიმე II) ცნობილი, ორთავეს გვარიც საყვარელიძეა. ეფთჳიმე I კათალიკოსის რანგში მოღვაწეობის პერიოდი 1578-1605/1616 წლებია, ხოლო ეფთჳმე II 1669-1673 წწ.

არსებობს ასევე მესამე ეფთჳიმე გენათელი, გვარად შერვაშიძე – მიტროპოლიტი 1776-1820 წლებში, მაგრამ ის არ იყო აფხაზეთის კათალიკოსი.

საკმაოდ რთულია ორი ისტორიული პირიდან ოლარის შემწირველი ქტიტორის ვინაობის დაზუსტება, მით უფრო, რომ ოლარზე არ არის წარმოჩენილი რომელიმე პერიოდის ნაქარგობისათვის დამახასიათებელი რაიმე სტილისტური ან მხატვრულ-იკონოგრაფიული პრინციპები და თავისებურებანი, რაც მის დათარიღებას გააიოლებდა. ისტორიკოს მ. ნიკოლეიშვილის მოსაზრებით ოლარის წარწერაში „მოხსენიებუ-

ლი პირი უნდა იყოს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ეფთჳმე საყვარელიძე. ეფთჳმე საყვარელიძე კათალიკოსად იყო 1669-1673 წლების შორის“ **[ნიკოლეიშვილი მ. 2001: 44]**, მაგრამ, ჩვენი აზრით, გარკვეული ფაქტები ეფთჳმე I-ის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს. ის თავისი პერიოდის უდიდესი და უანგარო საზოგადო მოღვაწეა, ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწევა. ეფთჳმე I-ის ღვაწლის შესახებ არაერთ წერილობითი ძეგლშია აღწერილი, რაც ცხადყოფს, რომ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ეფთჳმე I-ს მთელი საქართველო მოუცავს. ცნობილია, რომ მან მოქვის ეპისკოპოსობის დროს ბიჭვინთის საკათოლიკოსო მამულს შეუძინა დიდძალი მოძრავი ქონება: თვალმარგალიტით შემკული, ძვირფასი ქსოვილებისაგან დამზადებული საპატრიარქო შესამოსლები, ოქრო-ვერცხლისაგან ნაკეთები სარიტუალო ინვენტარი, მდიდრულად მოკაზმული საეკლესიო წიგნები, „ქართლის ცხოვრება“, მის მიერვე გადაწერილი „გულანი“ და სხვა. ამასთან, თავისი პირადი ქონებაც ეკლესიის საკუთრებად აქცია **[ლომინაძე: 1979]**, მაშინ როდესაც ეფთჳმე II-ის საზოგადო მოღვაწეობის შესახებ ისტორიულ დოკუმენტებში თითქმის არაფერია ნათქვამი. ეფთჳმე II წერილში, რომელიც ბაგრატ IV-მ (1669 წ.) გაუგზავნა რუსეთის მეფეს – ალექსი მიხეილის ძეს, იმერეთის სამეფოს თავკაცთა შორის იხსენიება, როგორც „საქართველოს მაკურთხეველი კათალიკოზი“ **[საქართველო ენციკლოპედია: 2014]**. აქედან გამომდინარე, უფრო მართებულად მიგვაჩნია, რომ გელათურ ოლარზე მოხსენიებული შემწირველ-ქტიტორი „აფხაზეთისა კათალიკოზი ეფთჳმე“ 1578-1605/1616 წლებში მოღვაწე ეფთჳმე I-ია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის მუზეუმში დაცვებული გელათური ოქროქარგული ოლარის შექმნის თარიღად XVI ს-ის დასასრული და XVII ს-ის დასაწყისი უნდა ვივარაუდოთ.

ერთ-ერთი უძველესი ძეგლია გელათის მონასტრიდან შემოსული ოქრომკედით ნაქარგი **გარდამოხსნა (№ 6594)**. მასალად გამოყენებულია შავი ხავერდი, ოქრომკედი, ვერ-

ცხლმკედი, ფერადი აბრეშუმის ძაფები, ნამაგრი სითვი; სარჩულისათვის – ყანაოზი (სურ. 2).

გარდამოხსნის ცენტრში წარმოდგენილია დატირების სცენა: მაცხოვარი დასვენებულია ლოდზე, რომელიც დეკორირებულია ჯვრებითა და ტალღოვანი ღეროების ორნამენტით. ლოდის თავში დგას მწუხარე ღვთისმშობელი, ხოლო ბოლოში წმ. იოანე მახარებელი. ლოდის ზემოთ წარმოდგენილია შუაში – ქერუბიმი, მის ორსავე მხარეს კი ანგელოზთა ნახევარფიგურები. ლოდის ქვემოთ ცენტრში ქერუბიმია გამოსახული, მის მარცხნივ „ძალნი“, ხოლო მარჯვნივ სამწეროზიანი ანგელოზის ნახევარფიგურა. კუთხეებში მახარებელთა სიმბოლური სახეებია, ფონზე კი მიმოხეულია რვაბოლოიანი ვარსკვლავები. გარდამოხსნას არშიაზე ვერცხლმკედითა და ოქრომკედით ნაქარგი ასომთავრული წარწერა აქვს, სადაც მოხსენიებულია შემწირველი ქტიტორი: „ქ. შუნიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრჩნელი გუამი შენი ქრისტე არმენაკითა წმიდითა წარგრაგნა დასნეულებითა შეთანველი ახალსა საფლავსა დაედვა, არამედ მესამე დღესა აღსდგა და მოანიჭე სოფელსა დიდი წყალობა. ღმერთო შეიწყალე აფხაზეთის კათალიკოზი ზაქარია ქვარიანი, ამინ. ამან შეამკო გარდამოხსნა ესე“.



სურ. 2. ქვარიანის გარდამოხსნა (№ 6594)

შემწირველი ქტიტორი – ზაქარია ქვარიანი ისტორიული პიროვნებაა. მის შესახებ ინფორმაცია მრავალ საარქივო მასალაში მოიპოვება: ერთი საბუთის მიხედვით იმერეთის მეფის, გიორგი III-ის გაზრდილი იყო [ქიმ.საბ№139]. მეფეს მისთვის უწყალობებია მამული მწვანეყვავილაზე, ზოგიც შესყიდვით შეუმატებია და იქ მას აუგია მთავარანგელოზის ეკლესია, ციხე-კოშკი, სასახლე და სოფელი [პალ, II:214]. იგი გენათელი ეპისკოპოსის ტიტულს 1637/39 წ-დან ფლობდა. ქვარიანი არაერთგზის იხსენიება რუსი ელჩების – ტოლოჩანოვისა და იევლიევის აღწერილობებში. რუსი ავტორები მას მეფის სულიერ მოძღვარს უწოდებენ. გენათელი იყო რუსი ელჩების მასპინძელი და იგი ამავე დროს ყველა მოლაპარაკებაში იღებდა მონაწილეობას, მათ შორის „ფიცის წიგნის“ საბოლოო გაფორმების ცერემონიალსა და ხელმოწერაშიც.

ზაქარია ქვარიანი აფხაზეთის კათოლიკოსი გახდა მას შემდეგ, რაც მისი წინამორბედი მაქსიმე მაჭუტაძე გარდაიცვალა იერუსალიმში 1657 წ. მან აღადგინა კათოლიკოსის რეზიდენციად გელათი. მისი დაკვეთით გელათში 1652-1655 წწ-ში გადაუწერიათ დიდი გულანი, რომელიც მოგვიანებით დავით გარეჯის მონასტერს შესწირეს. გელათის მთავარ ტაძარში დაცულია ქვარიანის ორი ფრესკა ერთი მიტროპოლიტობის, მეორე კათოლიკოსობის დროისა შესაბამისი წარწერებით. კათოლიკოსი გარდაიცვალა 1660 წ. იგი დასაფლავებულია გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენში. ქვარიანის პორტრეტული გამოსახულება დაცულია კასტელის ალბომშიც. გარდამოხსნა, როგორც წარწერა გვაუწყებს ზაქარია ქვარიანის დაკვეთით შექმნილია 1657-1660 წწ. პერიოდში, კათოლიკოსად კურთხევიდან მის გარდაცვალებამდე.

ქრონოლოგიურად იმავე პერიოდს განეკუთვნება კიდევ ერთი ოქრომკედით ნაქარგი **გარდამოხსნა (№ 6667)**, ისიც გელათის მონასტრიდან. გარდამოხსნა შესრულებულია თეთრი აბრეშუმის ქსოვილზე, საქარგავ მასალად გამოყენებულია ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ფერადი აბრეშუმის ძაფები, სარჩულისათვის – თეთრი ბამბის ქსოვილი.

გარდამოხსნის ცენტრში წარმოდგენილია ქრისტეს დატირების სცენა, ოთხივე კუთხეში მახარებელთა სიმბოლოები. კომპოზიციის ქვედა ნაწილში ამოქარგულია სცენა

„მენელსაცხებლე დედები საფლავთან“, რომელიც ფლანკირებულია ქერუბიმების გამოსახულებებით. გარდამოხსნაზე ორი წარწერაა ამოქარგული. პირველი საქტიტოროა, რომლიც ამავდროულად ოლეს წარმოადგენს და ასე იკითხება: „...სახლისა ბატონისა ქაიხოსროს ასულმან თინათინ ხელვყავ გარდამოხსნისა ამის გამომხატვად და შემკობად სულისა ჩვენისა სახსრად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად და ძისა ჩუენისა დავითის წარსამართებელად, რათა მეოხ გვექმნა დღესა მას დიდსა განკითხვისას, საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მათი, ამინ. ქორონიკონსა ცნბ“. წარწერაში მოყვანილი ქორონიკონი უდრის 1664 წ. სამწუხაროდ, პირთა გვარების მოუხსენებლობა არ გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ, რომელი სათავადო სახლის წევრთა მიერ მოხდა გარდამოხსნის დამზადება და რომელ ეკლესიას შესწირეს ქტიტორებმა იგი. არც წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება რაიმე კონკრეტული მონაცემი მათი იდენტიფიცირებისათვის რომ გამოდგეს.




სურ. 3. გარდამოხსნა (№ 6667) გელათის მონასტრიდან

მეორე, მოგვიანებით შესრულებული წარწერა, მაცხოვრის ლოდზეა მოთავსებული და გარდამოხსნის შეწირვას იუწყება: „ქ. მე მეფე სოლომონ, შევსწირე გარდამოხსნა ესე, მრჩობლთა ცხორებათ ჩემთა წარსამართლებლად, დედოფლის მარიამის საოხად. ვინც გოგნს უდაბნოს ეს გამოსწიროს, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე“. გადაჭრით თქმა, თუ რომელ სოლომონ მეფეს გულისხმობს წარწერა, რთულია. ორივე მეფის მეუღლეს ერქვა მარიამი. წარწერიდან პირდაპირ არც ის სჩანს, მარიამი ცოცხალია თუ გარდაცვლილი. თუ ამ დროს დედოფალი ცოცხალი არ არის, მაშინ აქ მხოლოდ სოლომონ I უნდა ვიგულისხმოთ, რადგან სოლომონ II-ის მეუღლე მეფეზე ადრე არ გარდაცვლილა, სოლომონ I-მა კი მარიამის გარდაცვალების შემდეგ გულქან ნუღუკიძეზე იქორწინა. არსებობს ერთი გარემოება, რაც ამ შემთხვევაში სოლომონ I-ის „სასარგებლოდ“ უნდა მეტყველებდეს. 1778 წ. იმერეთის მეფის მეუღლე მარიამ დადიანმა გოგნში ააგო ღმრთისმშობლის მიძინების ქვითკირის ეკლესია და დააარსა მონასტერი [ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2007]. ამის გათვალისწინებით სოლომონ I-ის მიერ გოგნის უდაბნოსათვის გარდამოხსნის შეწირვა მოულოდნელი არ უნდა იყოს. ე. თაყაიშვილის მონაცემებით, მარიამ დედოფალი 1778წ. გარდაიცვალა [ძვ. საქართველო, II: 72]. იმავე წლის 28 აგვისტოს კი სოლომონთან ერთად უკვე გულქან ნუღუკიძე სცემს წყალობის წიგნს. [დადიანი, 1962:241]. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ერთი საბუთის [საბ. №1867] მიხედვით ჩანს, რომ გარდამოხსნის წარწერაში მოხსენიებული „გოგნის უდაბნო“ სწორედ ის მონასტერია, რომელიც 1778 წ. აიგო მარიამ დედოფლის მეოხებით: „გოგნის უდაბნოს წინამძღვარი მოსე ... და კაციელა მხეიძის კაცი გავაბჭვეთ. წინამძღუარმან უჩივლა: მეფე სოლომონმა და მარიამ დედოფალმა უდაბნო აღაშენა, შესწირეს სოჩხეს გლეხები წყალწითელას გამოღმა მიწა ზეით დიდ ნაქცეს დაბლა ქასრას იქეთ წყალწითელამდის ლაფნარის სერს ზეით, შენდა ჩემის კაცის ზიარს ჩამოღმა...“. რადგან გოგნის ტერიტორიაზე სხვა მონასტერი არ არსებობს, ცხადი ხდება, რომ გარდამოხსნა სწორედ 1778 წ. აგებულ

ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარს შესწირა სოლომონ I-მა, მისი დამზადებიდან ერთი საუკუნის შემდეგ. ჩვენთვის ჯერ-ჯერობით უცნობია, როგორ მოხდა ნივთი ბოლოს გელათის მონასტერში.

XVII ს-ის ბოლო მეოთხედით თარიღდება ოქრომკედით ნაქარგი წარწერიანი **ოლარი** (№ 6655) კვერეთის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან. ოლარი დამზადებულია ოქროქსოვილისაგან; დასაქარგად გამოყენებულია ოქრომკედი, ფერადი ძაფები, სარჩულისათვის ზოლებიანი ყანაოზი. ოქრომკედის ფონზე ამოქარგულია გეომეტრიული ორნამენტები ლურჯი, ცისფერი, სპილოსძვლისფერ, ოქროსფერი და შავი ძაფებით, გარს უვლის ორნამენტული ოლე. ოლარს ქვედა ბოლოზე აქვს ასომთავრული წარწერა, რომელიც დაზიანების მიუხედავად, სრულად იკითხება: „გ[ა]ვ[ა]კ[ე]თ[ე]ბინე წ[მინდა]დ ოლ[ა]რი ესე მე, ქართლის ხ[ელ]მწიფის ას[უ]ლმა და თა[ნა]მემცხედრემა ამილ[ა]ხ[ვა]რის გივისმა, ბატ[ო]ნის შვილმა თ[ა]მ[ა]რ, ც[ო]დვათ[ა] ჩ[ვე]ნთა შ[ე]ს[ა]ნდ[ოზ]ლად და ქმ[ა]რშვილთა ჩ[ვე]ნთა ს[ა]დღიგრძელ[ო]და შ[ე]ნ შეინირე მცირე ესე შეს[ა]წირი დედ[ა]ო ღვთის[ა]ო, ქ[ორონი]კ[ონ]სა ტობ.“ დათარიღება 1684 წელია. წარწერაში დასახელებული არიან XVII ს-ის ქართლის სამეფოს ცნობილი ისტორიული პირები, კერძოდ ხელმწიფის ასული ქართლის მეფე ვახტანგ V ქალიშვილია – გივი ამილახვარის მეუღლე, რომელიც გამოკვეთილი ფიგურაა ქართლის თავადებს შორის, არამარტო ვახტანგ V მმართველობის დროს, არამედ შემდეგაც, გიორგი XI-ის მეფობის დროს. ქართლის ცხოვრების თანახმად, ქართლის კათოლიკოს დომენტის გარდაცვალების შემდეგ გიორგი მეფემ „დასუა ძმა გივი ამილახორისა ნიკოლოზ კათალიკოზათ“ [ქართლის ცხოვრება, IV:457]. გივი 1690-იან წლებში მხარს უჭერდა გიორგი მეფეს ერეკლე I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც საბოლოოდ ერეკლეს გამარჯვებით დასრულდა.



**სურ. 4. ოლარი (№ 6655) კვერეთის
ეკლესიიდან**

ხსენებული ოლარი თამარ ბატონიშვილის მიერ ქართლში ფეოდალური ანარქიის გაძლიერების პერიოდში არის შექმნილი. დაფარნა. წარწერაში იგი ღმრთისმშობელს თავისი ქმარ-შვილის დაცვასა და მფარველობას თხოვს და არა შემთხვევით: გივი ამილახვარი ამ დროს ქართლისათვის წარმოებულ ბრძოლებშია ჩაბმული, გარდა ამისა, იმერეთის ტახტის შენარჩუნებისათვის იბრძვის თამარის ძმა არჩილი და, ბუნებრივია, გელათის ღმრთისმშობლისათვის ამ დაფარნის შეწირვა მამისა და ძმის წარმატების სურვილითაც იქნებოდა განპირობებული.

როგორც ვხედავთ, უძველეს ნაქარგობათა ეპიგრაფიკული მასალებისა და ცენტრალურ არქივსა და ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული საბუთების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულია წარწერებში მოხსენიებული ქტიტორები და დაზუსტებულია დამზადების თარიღი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, ს. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962;
2. ენციკლოპედია საქართველო, ტ. III თბ. 2014;
3. თაყაიშვილი ე., ძველი საქართველო, II, 1972;
4. თაყაიშვილი ე., ძველი საქართველო, III, 1913-1914;
5. ლომინაძე ბ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.4, თბ., 1979;
6. ნიკოლეიშვილი მ., ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები, კრებული XIII, 2001;
7. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2007;
8. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973.

Nona Kartsidze

Irina Ugrekhelidze

Ancient embroidery from Kutaisi historical museum

Summary

The article discusses the works of art preserved in the Kutaisi Historical Museum – reviewing the inscriptions on ancient embroidery and various sources (archival documents, manuscript documents, special literature). In article is discussed about the items containing epigraphic materials, such as the golden pearls and the alternatives. These monuments belong to the end of the XVI century and the XVII century.

**დიმიტრი მელვინეთუხუცესი და ტაო-კლარჯეთის
კვლევის საკითხი**

დიმიტრი მელვინეთუხუცესი ქართველ ისტორიკოს-თა პირველი თაობის წარმომადგენელია. ბიოგრაფიული მონაცემების თანახმად, მას უმაღლესი განათლება არ მიუღია, დაამთავრა თბილისის გიმნაზია იურიდიული განხრით. მოგვიანებით, სათანადო სამხედრო განათლების მიღების შემდეგ, მან მონაწილეობა მიიღო შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. ჩრდილო კავკასიაში ანდისა და დარგოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისთვის დიმიტრი მელვინეთუხუცესი წმ. სტანისლავის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოეს. ეს იყო მისი ბოლო მონაწილეობა სამხედრო ოპერაციაში. მან სამხედრო კარიერაზე უარი თქვა და 1845 წელს გორის სასამართლო კანცელარიაში დაიწყო მუშაობა.

დარგოს სამხედრო ოპერაციას დიმიტრი მელვინეთუხუცესმა ორი ნაშრომი მიუძღვნა. სწორედ აქ გამოვლინდა მისი ნამდვილი მისწრაფება-წარსულისა და აწმყოს მეცნიერული შესწავლა. როგორც ჩანს, მან ეს ნაშრომები ყურადღების ღირსად მიიჩნია, რადგან მარი ბროსეს მისწერა: „ჩემგან აღწერილი ანდიისა და დარლოს პახოდი 1845 წელსა მზათა მაქვს გადათარგმნილი რუსულად. მერე ამასაც მოგართმევ.“ (მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, გვ. 283.). ამ ნაშრომის შემდეგ იგი აქტიურად ჩაება ისტორიოგრაფიულ საქმიანობაში, კერძოდ, დაინტერესდა ქართული სიძველეებით. ამ პერიოდს უკავშირდება მისი საქმიანი მეცნიერული ურთიერთობა აკადემიკოს მარი ბროსესთან. იოსებ ალიმბარაშვილის ვარაუდით, მარი ბროსეს დიმიტრი მელვინეთუხუცესი გააცნო მისმა სიძემ, გენერალ-მაიორმა იოსებ მამაცაშვილმა 1848 წელს (იოსებ ალიმბარაშვილი,

დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ.35). მაშინ დიმიტრი მელვინეთუხუცესი მხოლოდ 33 წლისა იყო. ამ გაცნობამ სათავე დაუდო ფრანგი სწავლულისა და ქართველი ისტორიკოსის ინტენსიურ მეცნიერულ თანამშრომლობას. დიმიტრი მელვინეთუხუცესი მარი ბროსეს სისტემატურად უგზავნიდა თავისი საველე სამუშაოების შედეგებს-მოგზაურობების აღწერილობებს და ძეგლების პირებს. მარი ბროსე ამ მასალას ფრანგულ ენაზე თარგმნიდა და თავის მიერ დაარსებულ „რაპორტებში“ აქვეყნებდა. ასე ჩამოყალიბდა კანცელარიის მოხელისგან განსწავლული, მეცნიერული კეთილსინდისიერებით სავსე წყაროთმცოდნე და ისტორიკოსი. მარი ბროსე მას თავის სრულყოფილ თანამოსაქმედ მიიჩნევდა და მოუწოდებდა: „სხვებზე იმედი მაქვს, არ დაგავინწყდება საქართველოს სიძველეთა მეძიებლობის სიყვარული და შემწე იქნები ამაში არა მხოლოდ სურვილისა და შრომისა ჩემისა, ნამეტნავად მამულისა თქვენისა ღიდეებისა და სახელის“ (მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, გვ.76).

მარი ბროსე სრულ ნდობას უცხადებდა და წარწერების საეჭვო ადგილების თავიდან ამოკითხვას მას სთხოვდა. მათს მიმოწერაში ხშირად გვხვდება მსგავსი შემთხვევები. დიმიტრი მელვინეთუხუცესის ამ საქმიანობას მალე მოჰყვა სამეცნიერო წრეებში მისი აღიარება. მარი ბროსესთვის მიწოდებული ფასეული ინფორმაციებისთვის 1949 წელს იგი დაუჯილდოებიათ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით. მარი ბროსესავე შუამდგომლობის თანახმად, დიმიტრი მელვინეთუხუცესი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგ-მაძიებლად მიუღიათ. მოგვიანებით იგი გეოგრაფიული საზოგადოების წევრად აირჩიეს. მარი ბროსემ ტაო-კლარჯეთში სამოგზაუროდ შესაფერის კანდიდატურად სწორედ ამ საქმიანობის გამო შეარჩია იგი.

მარი ბროსესა და დიმიტრი მელვინეთუხუცესის მიმონერის მიხედვით, ისინი ტაო-კლარჯეთის მკვლევართა პირველ თაობას უნდა მივაკუთვნოთ. მარი ბროსეს წერილების თანახმად, მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში უკვე აღძრულია ტაო-კლარჯეთის სიძველეების ადგილზე შესწავლის საკითხი. „ამავე დროს აკადემია წარუდგენს კნიაზ ნამესტნიკსა (მიხეილ ვორონცოვი – ე. ქ.), მოსწონს თუ არა თქვენი გაგზავნა ექვს თვეს ჯამაგირით, – სწერს მარი ბროსე დიმიტრის, – ჩემი აზრი ეს არის, რომ ორი ქვეყანა ძალიან ღირსია ნახვისა: ა) სამზღვარს გარეთ დანარჩომი ახალციხის საფაშოს ადგილები, არტანკოლა, ერუშეთი, კლარჯეთი და სხვა. იმისთვის, რომ ეს ადგილები ბაგრატიონთ მეფეთა აკვანი იყო და იქ უთუოთ იპოებიან პირველნი მოსახსენებელნი საქართველოს ხალხისა. შემატყობინეთ, როგორ მოგწონს ჩემი განზრახვა და გულით შეგენევი“ (მარი ბროსე, პირადი მიმონერა, გვ. 64).

1849 წლის 17 მარტით დათარიღებული წერილით დიმიტრი მადლობას უხდის მას და წასასვლელად მზადყოფნას უდასტურებს: „მე დარწმუნებული ვარ თქვენის ჩემდამო მამობრივის მოწყალებისაგან ჩემთვის ცუდს არას მოინდომებთ. უცხოა თქვენი ჰაზრი . დიდათ მობარული და მზა ვარ ყოველთვის“ (მარი ბროსე, პირადი მიმონერა, გვ. 284).

ამ მოგზაურობის იდეა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა წინ. იმავე წლის 26 მარტის წერილით მარი ბროსე აცნობებს: „ამ დღეებში დასწერა აკადემიამ ნამესტნიკისათვის, რომ თუ შეიძლება, ნება მოგცეს მოგზაურობისა 6 თვე და ფულიც. არ ვიცი როგორ გადაწყდება ეს საქმე. თუ თანახმა იქნება ნამესტნიკი, დაგინერ ადგილების სიასა, რა და როგორ, სად უნდა წახვიდეთ და ნახოთ. უეჭველად ბევრს რასმე იშოვნით, სახელიც გექნება და პატივი დიდი“ (მარი ბროსე, პირადი მიმონერა, გვ. 65).

მიხეილ ვორონცოვის კანცელარიაში წერილის მისვლით გახარებული დიმიტრი მელვინეთუხუცესი მარი ბროსეს სწერს: „წარსულის ფოშტით მიიღო სუდმა, სადაცა ვმსახურებ მე, საფონოვისაგან ქალაღდი ნამესტნიკის ბრძანებით, როგორც მწერთ, ჩემს მოგზაურობაზედ. დღეის სწორსვე იმედი მაქვს მივიღო დათხოვნა. მე აღარ დავკარგავ ამაოდ დროს. მაშინვე შეუდგები საქმეს და ვინყებ მოგზაურობას ღვთით. გთხოვ უმორჩილესად, ის სია და დარიგება დროით მიბოძოთ გორს“ (მარი ბროსე, მიმოწერა, გვ.285). ივლისის ბოლოს მარი ბროსე დამატებით აცნობებს : „ახლა აქ იყო უფალი ს.საფონოვი და ნამესტნიკიცა, რომელთა მიერ შევიტყვე მათის ნებართვითა თქვენი წასვლა მალე მტკვარს იქითაც და ძველს ახალციხის საფაშოში. ამისთვისცა დაგინერე ამასთან შეერთებული ინსტრუქცია სრული რუსულად. წაიკითხეთ და აღასრულეთ. ხშირ-ხშირად წიგნი დამინერეთ, სადითღა შემძლებელობა გქონდეს“ (მარი ბროსე, მიმოწერა, გვ.68). დეკემბრის ბოლოს დიმიტრი მელვინეთუხუცესი მარი ბროსეს აცნობებს, რომ მიხეილ ვორონცოვის დავალებით ხაზინის პალატამ სამოგზაურო თანხა გამოუყო და ფულის მიღებისთანავე გაემგზავრება. „მე ჩემს შრომას არაოდეს დავზოგამ. სხვა არა მინდა რა, არც ჩინი, არც ჯვარი, არც მადლობა, ცარიელი ფულით შემწეობის მეტი, რომლითაც მქონდეს ღონისძიება შევკრიბო , რაიცა საქართველოს ღირსი სახსოვარია მიფარებული,“ – სწერს იგი მარი ბროსეს.

1850 წლის 30 იანვრის წერილით მარი ბროსე დაწვრილებით ესაუბრება მოგზაურობის პერიპეტიებზე: „ვინაიდგან დაგინერეთ სამოგზაურო ინსტრუქცია, წავიკითხე ნემეცისა კოხის მოგზაურობა ჭოროხისა ხეობაში და მტკურის სათაოში. ეს არიან ადგილები, სად უშოვნია კოხსა ზედწარწერილობაები რამე: ისპირას(სპერს) ციხის კარზედ და ციხის კედელზედ და ცი-

ხის პატრონის სასახლეზედ; სამი არტანის ციხის კარზედ, დორთ-ქილისას საყდრის კარზედ, კოლას მაზრაშიდ არის, მტკურის სათაოზედ. ახლა ღმერთმა წარგიმართოს მოგზაურობა. გონებითა და გულითა წარგყვების თქვენი გულითადი მეგობარი ბროსე “ (მარი ბროსე, მიმოწერა, გვ .70).

ასე ყოველმხრივ მომზადებული ეს მოგზაურობა ვერ განხორციელდა, მაგრამ თავად ფაქტია მნიშვნელოვანი ტაო-კლარჯეთის კვლევის ისტორიისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარი ბროსე, პირადი მიმოწერა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბილისი, 2016;
2. იოსებ ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი, 2016.

Eter Kavtaradze

Dimitri Megvinetukhutsesi and research issue of Tao-Klarjeti Summary

Dmitry Megvinetukhutsesi is the representative of the first generation of Georgian historians. According to biographical data, he did not receive higher education, graduated from Tbilisi Gymnasium in legal field. He has made a great contribution to the Tao-Klarjeti research work, which is discussed in the presented work.

**შოთა მამულაძე
ემზარ კახიძე
კახაბერ ქამადაძე
სულხან მამულაძე**

**ტრაპიზონიდან ბაიბურთ-ერზრუმისაკენ
მიმავალი ძველი გზები და ზოგიერთი
საფორტიფიკაციო ნაგებობანი**

*ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სა-
მეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „ისტორიული ქანეთის
ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები-ს“ ფარგლებში
საგრანტო პროექტი N217910*

ისტორიულ ხალდია (ქალდია), ძირითადად, თურქეთის რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გუმუშჰანეს (ძვ. არგიოპოლისი) პროვინციას (ილი) შეესაბამება. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ისტორიული ქალდია უფრო ფართო ტერიტორიებს (ცენტრით ტრაპეზუნტში) შეესაბამება და ჩვენთვის საინტერესო რეგიონს შეიძლება შიდა ქალდია ეწოდოს, რომელსაც თანდათანობით ჩამოშორდა მაჭუკა, პალეომაჭუკა, არხაკელის და მოგვიანო სამცხე-საათაბაგოს მიწები, ბაიბურთის ველი და საკუთრივ ტრაპიზონი ქერიანას რეგიონითურთ (Bryer, Winfield, 1985: 299).

გუმუშხანეს რეგიონს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდ. პრიტანისის (თან. დელირმენდერე) აყოლებზე სერიოზული საფორტიფიკაციო ხაზი იცავდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა იყო ზიგანას ციხე-სიმაგრე, რომელიც აკონტროლებდა მისივე სახელობის უღელტეხილს. ამ უღელტეხილით დელირმენდერედან ხარშიტის (ძვ. კანისი) ხეობაში არის გადასასვლელი. უშუალოდ ციხემდე აქ სასიგნალო ციხე-კოშკების მთელი წყებაა. ზიგანას მნიშვნელობა არა მარტო საფორტიფიკაციო, არამედ სხვა ტიპის ნაგებობებიდანაც იკვეთება. მაგალითად აქ გვხვდება ქარავან-სარაი, რომელიც, მეჰმედ II მიერ ამ რეგიონის დაპყრობიდანვე (1479-1480 წწ) მოკლე დროში, მე-15-16 სს მიჯნაზე ააგეს. აქვეა მოსასვენებელი სახლი, ხანი (Bryer, Winfield, 1985: 297). ყველაფერი ეს

მიგვანიშნებს, რომ ამ რეგიონში გამავალი სავაჭრო გზას სტრატეგიული და ეკონომიკური დანიშნულება ჰქონდა. ზიგანას ქედი და დელირმენდერეს ხეობებზე გამავალი გზები თავისუფლად აკავშირებდა ტრაპიზონსა და კერასუნტს პონტოს მთებს გადაღმა არსებულ გუმუშპანესთან, ბაიბურ-თთან და სხვა რეგიონებთან.

ზიგანას შემდეგ ამ გზაზე მომდევნო საფორტიფიკაციო ნაგებობა თორულის ციხეა (ძვ. არდასა). ესპანელი ელჩი კლავიჰო, რომელიც არდასას შეცდომით კადაკად (Cadaca) მოიხსენიებს, გვაძლევს ამ ციხის ადგილმდებარეობის აღწერას (Estrada, 1943: 80). დღესაც ციხესთან გამავალი გზა ვინროვდება, ვინაიდან აქ ერთის მხრივ მდინარე ხარშიტია, ხოლო მეორეს მხრივ კლდე, სადაც ნამოჭიმულია ციხე. თანამედროვე ბერძენი კომენტატორები თორულის ციხეს მიქაელ პანარეტოსთან მოხსენიებულ მეზობალდიასთან (Chron., 74) აიგივებენ, სადაც ალექსი III და მისი ოჯახობა ეპიდემიას გამოექცა (1362 წ), თუმცა ამ ჰიპოთეზას ბრაიერი და ვინფილდი არ ეთანხმებიან მას შიდა ქალდიის კარიბჭედ მიიჩნევენ (Bryer, Winfield, 1985: 302).

ციხე აგებულია ზღვის დონიდან 1112 მ. იგი დაშენებულია კლდის თავზე, მდ.ხაშიტის ჩრდილოეთ ნაპირზე **(ტაბ.I/1-2)**. მთავარი შესასვლელი საკმაოდ ფართო ყოფილა, ისე რომ მასში ცხენით შეიძლებოდა შესვლა. შემორჩენილია ბილიკის ნაშთები, რომელიც მას ირგვლივ მიჰყვებოდა. ბილიკის ზემოთ დაცულია კედელი, რომელშიც ხის კოჭებისათვის ხვრელებია დატანილი. როგორც ჩანს იგი თავის დროზე ხიდისათვის ყოფილა განკუთვნილი, რომელიც კოშკისაკენ მიემართებოდა. შემორჩენილი კოშკი 10 მ სიგრძისაა და თანამედროვე ქალაქიდან 100 მ მაღლა კლდოვან ფერდობზეა აშენებული. კოშკის აღმოსავლეთით მდებარე კარი დღესდღეისობით დანგრეულია. ამ დროისათვის მასში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შეისვლება. დასავლეთით მდებარე სალ კლდეებზე აშენებული კედლების ნახევარი დღემდეა შემორჩენილი. ცენტრალური გზის მხარეს მდებარე კედელი თლილი ქვებით და ქვის ნატეხებით არის ნაშენი. კოშკის ქვემოთ კლდეში ამოკვეთილი სათავსია. ციხე ნაგები ყოფილა არანესიერი წყობით. უხეშად დამუშავებული ქვებით

კირხსნარზე. სამშენებლო ტექნიკითა და არქიტექტონიკით ციხე აგებული უნდა იყოს შუასაუკუნეებში. მისი აშენების მიზეზი სტრატეგიული დანიშნულებაა, კერძოდ ტრაპიზონი-გუმუშჰანესა და კანის-პრიტანისის ხეობათა გზების გაკონტროლება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა ქეჩი კალე მდებარეობს გუმუშხანეს აღმოსავლეთით, 25 კმ-ში, ბაიბურთისკენ მიმავალი გზის ჩრდილოეთით. არაა გამორიცხული ის მიქაელ პანარეტოსის მეზობალდიას (Chron., 24) და მე-17 ს კოუაზის (თან. კოვანს ქოიუ) საეპისკოპოსოს (ChP, 15-16) შეესაბამებოდეს. უნდა აღინიშნოს რომ კოუაზის საეპისკოპო იგივე ლერის საეპისკოპოა, სადაც რეგიონისთვის ასე დამახასიათებელი აია სოფია მდებარეობს ციხიდან ჩრდილოეთით, 5 კმ-ში, თან. კაბაქოიში.

ციხე აღმართულია ზღვის დონიდან 1627 მ და ხეობიდან 250 მ სიმაღლეზე აზიდულ კოუაზის მთის წვერის კლდოვან ქანზე (ტაბ. II/1-2). მის გეგმას სწორედ კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. იგი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სამხრეთიდან 200 მ და ჩრდილოეთიდან 150 მ მანძილზე შემოსაზღვრულია ფრიალო კლდით.

ციხეს მისასვლელი ორი მხრიდან აქვს. დასავლეთით არსებული გზით ციხეში შესვლა უფრო ადვილია, მაგრამ შესასვლელი კარები აღმოსავლეთით აქვს. კლდეზე აშენებული ციხის ფართობია 78X27 მ. ყველაზე ვიწრო ადგილი 16.90 მ-ია. დიდი ქვებით აშენებული სარტყლები, ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაშია. კლდის კედლის სიგრძე ადგილ-ადგილ 5-15 მ-ია, სისქე 1,50 მ. დასავლეთის კედელზე ფიცრისა და ქვის ნაერთით ლამაზად აშენებული კედელია. ციხის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში სათავსოებია. 1. სათავსო 10X3,70 მ, ეს მთლიანად დიდი ქვებითაა აშენებული. 2. სათავსო 6 X4,4 მ-ია. მათ კედლებად კლდეა გამოყენებული (ჩამოთვლილი). ციხის დასავლეთით ორსართულიანი ბურჯია. ზედა ნაწილში აღმოსავლეთით გაჭრილი ფანჯარა მდებარეობს. შენობის დასავლეთით დაახლოებით 15 მ სიგრძის ბუნებრივი კლდის ნაწილი, შესანახ სამალავს წარმოადგენს.

სამალავის შესასვლელში შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კედელია აშენებული. ეს კედელი კი სათავსოდ გამოიყენება.

გამოიყოფა მშენებლობის რამდენიმე პერიოდი. ყველაზე ადრეული – ქვედა ციხის კედლები ბიზანტიური ხანის უნდა იყოს, დანარჩენი კი ტრაპიზონის იმპერიის დროინდელი. დასავლეთი კოშკი კიდევ უფრო გვიანდელია. შესაძლებელია 1829 წ. რუსული ოკუპაციის დროინდელიც კი (Bryer, Wienfiled, 1985: 312). ტ. სინკლერი, რომელიც ციხის გადარჩენილ კედლებს მე-14 ს. ათარილებს, არ გამოორიცხავს, რომ მისი აგება ბიზანტიელების მოსვლამდე მომხდარიყო (Sinclair, 1989: 13). შესაძლებელია ადრეული საამშენებლო დონე, ადგილობრივ, ქანურ მოსახლეობას დავუკავშიროთ. ფაქტობრივად, ამის ალბათობას ბრაიერი და ვინფილდი ქალდიისადმი მიძღვნილ ზოგად მიმოხილვაში, 22-ე თავის შესავალში რეგიონის ყველა მნიშვნელოვანი ციხის მიმართაც არ გამოორიცხავენ (Bryer, Wienfiled, 1985: 301).

ციხესთან ახლოს მდებარე სოფ. ქვედა ჰურუსუფლას (Hurusüfla) სამხრეთით, 3,2 კმ დაშორებით არის კარგად ნაშენი მოპირკეთებული ქვებისაგან შედგენილი კედლების ნაშთები. როგორც ამბობენ, აქ ყოფლა ციხე. ირგვლივ ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილა ბრინჯაოსა და ოქროს მონეტები, ტერაკოტა, წყლის მილები რაც აქ რომალების არსებობაზე მიუთითებს. უხუცესებს ახსოვთ ტრაპიზონიდან მომავალი და ასევე გუმუშხანედან ერზიჯანამდე აქ გამავალი ძველი გზა. იგი შემდეგნაირი მარშრუტის ყოფილა: ჰურუსუფლა (Hurusüfla) – კოსე (Köse) – ჰავჯიში (Havciş) – კილიჩი (Kiliçi) – სადაკი (Sadak) (Mitford, 2018: 354-355).

ქეჩი კალესთან ახლოს სოირან დერეს ხეობაში (Soyran Dere), რომელიც ხარშიტს უერთდება საზაფხულო და საზამთრო გზების კვეთაში არის დაფიქსირებული ზინდალარის ციხის ნაშთები (Zindanlar Arazi). ციხე მდებარეობს ვიწრო შემალლებულ ადგილზე. იგი ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვებით. მისგან ჩრდილეთით 30 მ-ში, სოირანის ხეობისაკენ შემორჩენილია მრგვალი კოშკის ნაშთები. მისი დიამეტრი 3 მ-ია, ხოლო სიმაღლე 8 მ. როგორც ჩანს, აქ უნდა ყოფილიყო ხუთკუთხა (პენტაგონალური) გეგმის ციხე. მისი ზომები უნ-

და ყოფილიყო: 80x60 მ, რომელიც კოშკთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ციხეს კიდევ ორი კოშკი უნდა ქონოდა კუთხეებში. ჩრდილოეთით ციხის კედელი 5 მ სიმაღლის ბუნებრივ კლდეზეა დაშენებული. ციხის შიდა სივრცე საკმაოდ ფართოა. აქ უნდა ყოფილიყო ადგილი, სადაც ქარავანი შეისვენებდა და აქვე უნდა ყოფილიყო თავშესაფარი. გადარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ აქ უნდა ყოფილიყო სოფელი არაუადრეს იუსტინიანეს პერიოდისა და არაუგვიანეს 10 ს-დან. ზინდანლარის ნაშთები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო საზაფხულო გზასთან, რომელიც ერზრუმიდან მომართებოდა, განსაკუთრებით კი სატალადან მურასანოღულარისაკენ (Murathanoğulari) მომავალ გზასთან (Mitford, 2018:355-359).

მნიშვნელოვანი გზა გადიოდა იურთლარის ხეობაშიც (Yurtlar dere). აქ გამავალ გზას აკონტროლებდა სწორედ ალა კალესის ციხე (Ağa Kalesi). მისი შიდა ტერიტორია დაფარულია ხეებით და თითქმის მთლიანადაა დანგრეული. ციხე თავის დროზე მართკუთხა გეგმის ყოფილა. შემორჩენილი ზომები დაახლოებით 65x25 მ-ია. კედლები ამოყვანილი ყოფილა კირხსნარის გარეშე მდინარის ქვებით. გადარჩენილია მხოლოდ ორი კვადრი. ფიქრობენ რომ ეს ციხე შეიძლება იყოს კორბულონის მიერ განახლებული პრაესიდია (Praesidia), რომელიც ტრაპიზონისაკენ მიმავალი გზების დასაცავად აიგო (Mitford, 2018:354-355). ამავე ხეობის სათავეებში ფიქსირდება ჰურის ციხის ნაშთები (თანამედროვე სოფ. ბეიჩამში), რომელიც საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემორჩენილ ნაშთებზე ზედაპირული დაკვირვებით ციხე ადრებიზანტიურ პერიოდში ჩანს აგებული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გზა რომელიც გუმუშხანეს რეგიონში გაივლიდა იალლი დერეს ხეობის გზაა. იგი როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო მარშრუტი 1930-იან წლებამდე გამოიყენებოდა. იგი გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: ტრაპეზუნტი (ტრაპიზონი) (Trapezunta, Trabzon) – მაშჯიჩიჰანი (კარაკაბანი) (Maşciġhani, Karakaban) – მაგნანა (Magnana)-კოლასანლარი (Kolathanlari) – ბილაე (Bylae (Bile)) – ანზარიაჰანლარი (Anzaryahanlari)-ერგიდარიუმი

(Ergidarium) – მადენჰალარი (Madenhalari)-პატარა (პეტრა) (Patara (Petra))-ალიარლარის იგივე იაილას (Yayla) საძოვრები (იმერას ზემოთ) (Ağyarlar Pastures) – მედოკია (Medocia) – ლერი (Leri) – სოლომენიკა (Solomenica) – ძველი კოსე (Eski Köse) – დომენა (Domena) – სადაკი/სატალა (Sadak/Satala) (Mitford, 2018: 348-349). სწორედ ამ მნიშვნელოვან მაგისტრალს აკონტროლებდა კრომნის ციხე, რომელიც კოლატის მთების ყველაზე შემალლებულ ადგილზეა აშენებული. მკლევარების მიერ კოლატი იდენტიფიცირებულია, როგორც პონტოს კარი, ანტიკური Pylae, ტაბულა პეუტინგერიანას Bylae. აქაა სწორედ აღმოჩენილი რომაული კასტელუმის ნაშთები, რომელიც ერთადერთია სატალასა და ტრაპიზონს შორის არსებულ გზაზე. ეს კარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და ცნობილია აგრეთვე როგორც ბაღდადის, აბრეშუმის და საქარავნო გზის სახელწოდებით (Mitford, 2018: 370).

შიდა ქალდიისკენ მიმავალი ან გამავალი გზები თავს მაინც გუმუშხანეში, უფრო სწორად მის ძველ დასახლებაში, სულეიმანიაში იყრიდნენ, სადაც რეგიონის ყველაზე ცნობილი საფორტიფიკაციო ნაგებობა – ჯანჯას (ჭანიკას) ციხეა. ის გუმუშხანეს ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ დაშორებით, აგებულია მდ. ხარშიტის სამხრეთ ნაპირზე, სანაპიროდან დაახლოებით 400 მ სიმაღლეზე აზიდულ წაგრძელებულ კლდოვან ბორცვზე. ციხე აკონტროლებს ტრაპიზონ-გუმუშხანეს დამაკავშირებელ სახმელეთო გზას.

ციხის გეგმას კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. იგი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ტერასისებურადაა განლაგებული **(ტაბ.III-IV)**. ციხეში ასვლა მდინარის მხრიდან, ანუ ხეობიდან შეიძლება. მისი ძირითადი კედელი სამხრეთით უფსკრულია, ჩრდილოეთი კი ხეობის მხარეა. ციხე აღმოსავლეთ-დასავლეთით ერთმანეთის მიყოლებით 2 ნაწილისაგან შედგება. მთლიანი ფართობი 230x30 მ-ია. კედლის სიგანე 1,50 მ. ციხეში მოხვედრა მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის მხრიდან იყო შესაძლებელი. ამ მხარეს არსებული გალავნის კედლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში პირველ ტერასაზე შესასვლელი კარია გაჭრილი **(ტაბ.III/2)**. კარგადაა შემონახული ციხის გა-

ლავნის დასავლეთი კედელი. მისი მაქსიმალური სიმაღლე 10 მეტრამდე აღწევს. იგი სამხრეთით 8 მეტრ მანძილზე გრძელდება და შემდეგ ბუნებრივი კლდეს ერწყმის. ჩრდილოეთის კედლის ცენტრალური ნაწილი საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შედარებით კარგადაა გადარჩენილი მისი უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთი, სადაც დაცული კედლების მაქსიმალური სიმაღლე 8 მეტრს აღწევს. პირველ ტერასაზე, ცენტრალური შესასვლელის წინ ჩრდილოეთ კედელთან ახლოს, მდებარეობს კლდეში ამოკვეთილი ნაგებობა (ზომები: 4.10X4.10 მ). იგი კასრისებრი მოყვანილობისაა და კირხსნარით შელესილი თალითაა გადახურული. მისი ქვედა ნაწილი ამჟამად შევსილია ჩანაყარი მასით. არაა გამოვლიწებული იგი გამოყენებული ყოფილიყო წყლის ან სურსათის შენახვისათვის (ტაბ.IV/2).

ყურადღებას იქცევს ციხის ცენტრალური შესასვლელის მარცხენა მხარეს წინ გამოზიდული კლდოვანი ქანის ბორცვზე შემორჩენილი წყობის ნაშთებიც. არაა გამოვლიწებული აქ თავის დროზე გამართული კოშკის ნარჩენები იყოს. ამ მონაკვეთიდან შესაძლებელი ხდებოდა ციხის ცენტრალური შესასვლელის ჩაკეტვა-გაკონტროლება. ციხის გალავნის კედლებს და მის შიდა სივრცეში არსებულ ნაგებობებს ემჩნევათ სხვადასხვა დროში ნგრევისა და აღდგენის კვალი.

პირველი ტერასის აღმოსავლეთით არსებული კედელი ციხეს ორ ნაწილად ყოფს. იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენაა დამხრობილი. მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაჭრილია მეორე ტერასაზე ასასვლელი კარი. მეორე ტერასა სამხრეთითა და აღმოსავლეთით დაცულია მკვეთრად დახრილი კლდოვანი ქანებით. ციხის ამ მონაკვეთის შედარებით დაუცველი მხარე ჩრდილოეთით ყოფილა. ამიტომაც ციხის მშენებლებს ყველაზე მეტად ტერასის ეს მხარე გაუმაგრებიათ. დღეისათვის გალავნის კედლის ეს მონაკვეთი საძირკვლის დონემდეა მორღვეული და მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი ნაშთები. ზედა ტერასა ქვედასაგან 10 მეტრით მაღლა მდებარეობს და უფრო დიდ ფართობს მოიცავს. იგი ციხის ყველაზე დაცული ნაწილია. მის შიდა ტერიტორიაზე გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. მათ შორის აღსანიშნავია ორი სამლოცველო.

პირველი მათგანი მდებარეობს ციტადელის სამხრეთ ნაწილში, ფრიალო კლდესთან ახლოს (**ტაბ.V/1**). ეკლესია დაზიანებულია, შემორჩენილია აფსიდა და ჩრდილოეთი კედლის დიდი ნაწილი. ნაწილობრივ დაცულია დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი ნაწილიც. რაც შეეხება დასავლეთი კედლის დანაჩენ მონაკვეთს და სამხრეთ კედელს, საძირკვლის დონემდეა მორღვეული. ჩანს, რომ ეკლესიას შესასვლელი ჰქონდა დასავლეთის მხრიდან. შემორჩენილია კარის ნივთხლი. დღემდე მოღწეული კედლების მაქსიმალური სიმაღლე 4,80 მ აღწევს. ეკლესიის სიგრძე 6,27 მ-ია, სიგანე – 3,63 მ. დაცულია ასევე აფსიდის კედელში დატანილი სარკმელიც. სარკმლის ნაშთები ჩანს ჩრდილოეთ კედელშიც. კედლები ნაგებია საშუალო და მოზრდილი ქვებით, რომელთა გარე ზედაპირი ჩამოსწორებულია. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ იგი შელესილი იყო და ფრესკებით ყოფილა მოხატული. მათი კვალი დღემდეა შემორჩენილი აფსიდაში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კედელზე.

როდესაც ციხე და ეკლესია ინგლისელმა მკვლევარებმა ბრაიერმა და ვინფილდმა მოინახულეს ფრესკები ჯერ კიდევ კარგად იკითხებოდა. მკვლევარების აღწერით საკურთხეველში მოხატული იყო აღმოსავლეთის მიმართულებით მომზირალი 6 წმინდანი. აფსიდის ცენტრში სარკმლის ზემოთ ქრისტეს ფიგურა იყო გამოსახული, ხოლო ქრისტეს გვერდით, მარცხენა ღვთისმშობლისა. ოთხი ფიგურა იყო დატანილი ჩრდილოეთ კედელზეც. მათგან აღმოსავლეთით მდგომნი წმინდანი ჯარისკაცების ხოლო, დასავლეთით წმ. კონსტანტინე და წმ. ელენე. კიდევ ორი წმინდა ასკეტის ფიგურა ყოფილა დასავლეთ კედლის ჩრდილოეთ მხარეს. დასავლეთის ნივთხლზე შემორჩენილი იყო აღმოსავლეთის მიმართულებით მომზირალი ანგელოზების გამოსახულებებიც (Bryer, Winfield 1985: 310-311).

მეორე ეკლესია ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს (**ტაბ.V/2**). იგი საინტერესო არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგეს. პირველ სართულზე გამართულია მოზრდილი სათავსო. მისი სიმაღლე 2 მ-ია. ჰქონია თაღოვანი გადახურვა. მისი შიდა სივრცე შელესილია. როგორც ჩანს, თავის დროზე ამ თაღოვან გადახურვაზე მთელს სივრცეში გამართული იყო ეკ-

ლესიისათვის იატაკი, ხოლო შემდეგ იგივე სათავსოს გარე კედლებზე დაუშენებიათ ეკლესია. გეგმა კარგად იკითხება. მისი ზომებია: 5,5x4,81 მ. შედარებით კარგადაა შემონახული აფსიდის მხარე, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები. დასავლეთი მხარე ჩამონგრეულია. ეკლესიის სიმაღლე სათავსოსთან ერთად 4,99 მ-ია. ეკლესიაცა და სათავსოც თანადრული ნაგებობა ჩანს. კედლების წყობა არათარაზულია. აქაც გამოყენებულია დიდი და საშუალო ზომის გვერდებჩამოსწორებული ქვები. აქა-იქ გხვდება კარგად დამუშავებული ნიმუშებიც. პირველი ეკლესიის მსგავსად, ესეც მოხატული ყოფილა ფრესკებით. მათი კვალი შემორჩენლია სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე. ბრაიერისა და ვინფილდის მიხედვით ეკლესია მოხატული ყოფილა წმინდანთა, მოციქულთა და ანგელოზთა ფიგურებით. აფსიდაში ყოფილა ღვთისმშობლის ფიგურაც (Bryer, Winfield 1985: 310-311).

უნდა აღინიშნოს რომ, ციხე და მის ირგვლივ განლაგებული დასახლება (სულიმანია) რეგიონის უმნიშვნელოვანესი საფორტიფიკაციო და ეკონომიკური ცენტრია. იგი უშუალოდ აკონტროლებდა ძველ გუმუშხანესკენ და აქედან სხვადასხვა მიმართულებით გამავალ გზებს. მისი მშენებლობა ადგილობრივი ქანური მოსახლეობის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. მოგვიანებით იგი სტრატეგიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გამოიყენეს და შესაბამისად აღადგინეს ბიზანტიელებმა და ოსმალებმა.

ლიტერატურა

1. **Bryer, Winfield, 1985:** Bryer, A. and Winfield, D. The Byzantine monuments and topography of Pontus, 2 vols. Washington
2. **Estrada, 1943:** Estrada, F.L. Ruy Gozzalez Clavijo, Embajadaa Tamorlan. Madrid
3. **Mitford, 2018:** Mitford, T.B. East of Asia Minor: Rome's Hidden Frontier. Oxford

4. **Sinclair, 1989:** Sinclair, T.A. Eastern Turkey: an architectural and architectural survey, vol. 2. London

Shota Mamuladze

Emzar Kakhidze

Kakhaber Kamadadze

Sulkhan Mamuladze

Roads coming from Trabzon to Bayburt and Erzurum and some fortifications

Summary

Roads coming from Trabzon to Bayburt and Erzurum was very important since Classical period, especially, modern Gümüşhane region, where strong fortification system was designed even Byzantines occupied this region. Among these castles (Torul, Keçikale, Hurusüfla, Zindanlar Arazı, etc.) most strategic area was control by Canca castle. It stands on a great-elongated spur about 2 km northwest of modern Gümüşhane about 400 m above the south bank of the Kanis (Harşit). The walls enclose ravines on three sides surrounding an area of about 230x30 m at a waist between an upper and lower bailey. The castle is approached from a romp to the west, where the most substantial walling survives. Here there is a rock-cut cistern with a mortared rubble barrel vault in the in the lower bailey. Two chapels stand on eminences within the upper bailey.

I



1



2

II



1



2

III



1



2